წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. კვირა, 1917 წ. მაისის 14 (27)

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი—
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 102 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 102

კვირას, 14 მაისს, დღის 2 საათზედ, გარდახდილ იქნება წლის წირვა

ჟოზეფ რენის

სულის მოსახსენებლათ კათოლიკეების სასაფლაოზედ (წმ. ნინოს სასაფლაოს ზემოთ), რასაც აუწყებს მეუღლე მარგარიტა დიმიტრის ასული რენი.

1—642—1

ოთხშაბათს, 10 მაისს 1917 წ., ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფერშლის სკოლის მესამე კლასის მოწაფე 18 წლის

სოკრატ ფილიპეს ძე
დონაძე

გულ-დაწყვეტილი დედა დესპინე და მამა ფილიპე, პატარა ძმები და დები უმორჩილესათ გთხოვენ ნაცნობთა და ნათესავთ, დაესწროთ გამოსვენების დღეს. პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე. გამოსვენება ცხედრისა იქნება კვირას, 14 მაისს, ჩუღურეთის ნიკოლოზის ეკლესიაში. საკუთარი სახლი, ერთობის ქუჩა, 67. 9 უბანი

2—632—2

სამშაბათს, 23 მაისს, დაბა ზუგდიდში, მაცხოვრის ეკლესიაში, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, 14 აპრილს უდროოდ გარდაცვალებულის თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფის

პოლიკარპე (კოლია) კეიდიას

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობელნი: კონსტანტინე (კოწია) ასლამბის ძე კეიდია, დესპინე გოგიას ასული კეიდიასი, ძმები: ტიხონი და შალვა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

1—681—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საორგანიზაციო კომისია

მართავს კრებას მეათე და მეთორმეტე უბანში

მცხოვრებ პარტიის თანამოაზრეთა და თანამგრძნობთა, „ახალ ხაკრებულოს" (ხარფუხის საზაფხულო) კლუბში, მიხეილის ქუჩაზე № 129,

მაისის 14, კვირას, დილის 11 საათზე.

კრებაზე დასწრება შეუძლია პარტიის თანამგრძნობთ განურჩევლად სქესისა.
კრებას მოხსენდება პროგრამა და საორგანიზაციო საკითხები.

2—683—2

კურსები ქართულ ენაზედ

სამოქალაქო პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის იწყება ორშაბათს, 15 მაისს, დილის 9 საათზედ.

1—643—1

ვისაც გსურთ

მიწა და თავისუფლება
შრომის სამართლიანათ დაჯილდოება
თავისუფლება
თანასწორობა
ძმობა
პური
ეროვნული ბედნიერება
რესპუბლიკა
ავტონომია
რწმენის თავისუფლება
პირადი ბედნიერება

ხელი მოაწერეთ თავისუფლების სესხს

1—686—1

სახალხო სახლი

ორშაბათს, 15 მაისს, თბილისის ქართულ დრამატ. მსახიობთა ამხ. მიერ განმეორებით წარმოდგენილი იქნება

ჟან და მადლენა

დრ. 5 მოქ. ოქტ. მირბოსი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ◆ დასაწყისი სად. 8½ საათზე.
ქართველ მსახიობთა ადმინისტრაცია.

1—682—1

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის" (ავტონომისტთა) გაზეთ

„ხალხის თავისუფლება"-ზე

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

ივ. გომართელის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაცე წერილთა თანამშრომლობით და იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაზეთი ღირს: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის" სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба" I. Имедашвили.

(10—638—6)

თბილისი, მაისის 14.

მიწის საკითხი

ამ დღეებში კავკასიის ჯარის ყრილობამ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების თანახმად მომავალ დემოკრატიულ რუსეთში მიწაზე კერძო საკუთრება უნდა მოისპოს და მისი სოციალიზაცია დაწესდეს.

სოციალიზაცია გათანასწორებულ მიწის მფლობელობას ჰქვიან. ეს იგი მიწა აღარ იქნება კერძო საკუთრება და იგი გადავა ხალხის ხელში. უფრო დაწვრილებით ახსნა-განმარტება მიწის მფლობელობის ასეთ ფორმისა, არც თვით მის ავტორებს აქვთ. ამიტომ ძალაუნებურად უფრო მის უარყოფით მხარეზე გვიხდება ლაპარაკი, ვიდრე დადებითზე. მარტოოდენ ერთი მიწის გასაზოგადოება, როდესაც ქალაქში კაპიტალი და წარმოება კერძო საკუთრების ხელში რჩება, თავისთავად მხოლოდ გაუგებრობაა. თუ სოციალიზმი შედეგია ეკონომიურ პირობათა ობიექტიურ განვითარებისა და თუ ეს პირობები უკვე არსებობენ—მაშინ სოციალიზმი უნდა ქალაქიდან დაიწყოს. სოფელი, საიდანაც იწყებენ სოციალიზმის განხორციელებას ზოგიერთი თეორეტიკოსები აგრარულ სოციალიზმისა, ძალიან ღარიბი ნიადაგია ამისა. რა სჭირია დღეს გლეხს? უფლებრივ გათანასწორება და ეკონომიური გამაგრება. მარტივად რომ ვთქვათ გამოქალაქება და მიწა, ესე იგი დემოკრატიზაცია და არა სოციალიზაცია.

თანამედროვე ევროპის მეურნეობა ინტენსიურია. ინტენსიურივე იქნება მეურნეობა ჩვენშიც. ინტენსივობა კი მიწის ხანგრძლივ მფლობელობას მოითხოვს. შეიძლება კი მიწის ხანგრძლივი მფლობელობა სოციალიზაციის პრინციპზე? ეჭვი არ არის, რომ ერთი მეორეს სპობს. ან გლეხმა უარი უნდა სთქვას მიწის ინტენსიურ კულტურაზე, რაც ეკონომიურ ცხოვრების უკან დაწევას ნიშნავს, ან ის ამას არ მოისურვებს და თავის ნაჭერ მიწის ფაქტიური მფლობელი გახდება, რაც უკვე სოციალიზაცია აღარ იქნება. თანამედროვე საკუთრება ისტორიულად დაჩემების და მფლობელობის ვადაზეა აგებული. მომავალი თემი რომ გლეხს მიწას მიუზომავს, თუ მის მფლობელობის დრო განსაზღვრა, ეს გლეხის მეურნეობაში ჩარევას ნიშნავს. თუ არ განსაზღვრა, გამოდის, რომ მფლობელობა უვადო და უკანტროლოა და გლეხი, თანახმად ჩვეულებისა და მფლობელობის ვადისა, ისევ მესაკუთრედ ხდება. ერთის სიტყვით, საიდანაც უნდა მოუაროთ ამ საკითხს, მხოლოდ გაუგებრობას იწვევს. რა არის ამის მიზეზი მერე? მხოლოდ თვით მიწის სოციალიზაციის ცალფეხობა. ერთის მხრივ იგი კაპიტალს ხელუხლებლივ სტოვებს, მეორეს მხრივ შრომას არ ასაზოგადოებს.

მიწის საკითხის გადაწყვეტა საქართველოში გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ჩვენში მეურნეობა უკვე ინტენსიურია, კულტურა მიწისა უფრო მაღალია. ჩვენი მიწის კულტურა ყურძნის, თამბაქოს, აბრეშუმის, ჩაის და სხვათა კულტურაა. ამ რთულ კულტურის ნიადაგზე ისეთი მესაკუთრეობის ფსიხოლოგია შემუშავდა, ჩვენ რომ ჩვენი გლეხის წინაშე მიწის სოციალიზაციას პროგრამით გამოვცხადდეთ, სასაცილოდ არ ეყოფა. მის რთულ მეურნეობასთან შედარებით სოციალიზაცია რეაქციონული, მისი სამეურნეო სისტემის ამრევ-დამრევი და ყოვლად უმწეო ზომაა.

მაშ, როგორ უნდა გადაწყდეს მიწის საკითხი ჩვენში? მიწის საკითხი იგივე გლეხის საკითხია. გლეხი უნდა გათანასწორდეს უფლებრივად და მიეცეს საკუთრებად იმდენი მიწა, რამდენიც სჭირია მის მეურნეობისთვის.

სოციალისტ-ფედერალისტები და საგრარო საკითხი

როდესაც „კლდიელთა" პატარა ჯგუფმა ჟურნალის გამოცემა განიზრახა, სხვათა შორის კრებებზედ სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელნიც მიიპატიჟა, რომ წინასწარი შეთანხმებით სხვა და სხვა საკითხებში უნაყოფო კინკლაობა თავითგანვე აეცდინათ. მათმა წარმომადგენელმა პათეტიურად განაცხადა: „ჩვენ სოციალისტები და რევოლიუციონერები ვართ და ამიტომ ვერ შევთანხმდებითო"; და როდესაც ვსთხოვეთ მითითება ერთ წერილზედ ან გამოსვლაზედ მაინც, სადაც მათი ან სოციალისტობა, ან რევოლიუციონერობა იხატებოდეს (ეს იყო 1912—13 წელს), მან სიმბოლიურად ასწია ორი მუშტი: „დროს შესაფერად ჩვენ ვაწარმოებთ ხან რევოლიუციონურ ტაქტიკას (მარცხენა მუშტი ასწია), ხან ევოლიუციონურს (მარჯვენა ასწია). ამის შემდეგ შესწყდა კავშირი ამ ორაზროვან პარტიასთან, რადგან მათის დახასიათების მიუხედავად ჩვენ ყველთვის ერთ გარკვეულ მიზანს ვიხატავდით და გარკვეული ტაქტიკით ვახწევდით მას. მაგრამ ზემოაღნიშნული სიმბოლიური მუშტების აწევ-დაწევა როგორც აქამდე იყო სახელმძღვანელო ისევე დარჩა, როგორც ეტყობა, მათთვის ყველა საკითხებში.

არ გასულა ორი თვეც, რაც სოც.-ფედ. მეორედ გამოაცხადეს სარევოლიუციო პროგრამმა, საცა აღიარებენ მიწის სოციალიზაციას ეხლავე და მათი ორატორები ხომ „გზა და გზა" მოითხოვენ ეხლავე სოციალ რევოლიუციის მოხდენასაც;—ყველა ეს იმიტომ, რომ დაასწრონ სოც.-დემ. და უკიდურეს სოციალისტებად მოაჩვენონ თავი ქვეყანას—დღეს მარცხენა მუშტის აწევის დროა. მაგრამ № 861 „სახალხო ფურცლისა" მეთაურ წერილში სრული უარის თქმაა სოციალიზაციისა, რადგან... ალბად იმიტომ, რომ სოც.-ფედ. კონფერენციაზე, როგორც ხმები დადის, განზრახული აქვთ მიიღონ სოციალიზაცია, როგორც უახლოესი ტაქტიური და პრაქტიკული ნაბიჯი.

მაგრამ უმჯობესია ყური დავუგდოთ თვით გაზეთს:

„თეორეტიულ ძიების ხალხი აბსტრუქციით, განყენებული საქმეებით (?) ვეღარ დააკმაყოფილებს ხალხს"... „დემოკრატია განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას მიწის საკითხს, შეისწავლოს ყოველგვარი საამისო მასალა და მიწა—როგორც საფუძველი დემოკრატიის არსებობისა (?)—ისე მიანიჭოს ხალხს, რომ რეაქციის თავის წამოყოფა შეუძლებელი გახდეს".

და განა სოციალისტ-ფედერალისტები არ არიან მარტოოდენ ის ხალხი, რომელიც „განყენებული სიტყვებით აკმაყოფილებს ხალხს?" განა სოციალიზაციის მოთხოვნა და ყოველგვარი მასალების შესწავლა საკითხის გადასაწყვეტად ერთი მეორის სრული წინააღმდეგობა არ არის? მაგრამ განა ამისთანები გვინახავს „გარკვეულ" პარტიის „გარკვეულ" ორგანოს ფურცლებზედ?

„გასულ საუკუნის მეორე ნახევარში აგრარული საკითხიც ისევე მარტივად იყო წარმოდგენილი, როგორც კაპიტალიზმის განვითარება, რომ სირთულისა და სპეციფიურ კულტურის თვალსაზრისი მხედველობაში არავის ჰქონდა მიღებული და ამიტომ დემოკრატია ყველა ქვეყნისთვის ერთნაირ პოლიტიკას ჰქადაგებდა აგრარულ საკითხში"-ო, ამბობს „სახალხო ფურცელი" იმავ წერილში და ჩვენ გვინდა დაუმატოთ: მეორე საუკუნის პირველ მეოთხედში, ე. ი. დღესაც, სოც.-ფედ. თავისი სოციალიზაციით „მარტივადა სწყვეტენ საკითხს და სრულიად მხედველობაში არ იღებენ სირთულეს და სპეციფიურ კულტურის თვალსაზრისს" და ეს საყვედური თავის თავს უნდა მოახსენოს მაშასადამე.

„არსად ისე დიდი ადგილი არა აქვს თავისებურობას, ადგილობრივ განწყობილების სპეციფიზმს, როგორც სოფლებში. გეოგრაფიული, გეოლოგიური, ჰიდრავლიური და კლიმატიური პირობანი ქვეყანას ჰყოფენ ხეობებად, მას ერთვის ისტორიულ-კულტურული პირობები და ამიტომ ჩვენს წინაშე **შემდეგი ხინამძღვილე იშლება**: თვით ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, აგრარული საკითხი **ერთნაირად უნდა გადაწყდეს ამერეთში და სხვანაირად იმერეთში.** განა რაჭასა და გურია-სამეგრელოს მიწის მფლობელობა ერთნაირია? განა იმერეთისა და ქართლის მიწის სარგებლობა იდენტიურია?—არა, მათ შორის ბევრი განსხვავებაა და მიწის საქმის გადაწყვეტის დროს ეს შერჩევანი არა თუ არ უნდა დავივიწყოთ, არამედ სახელმძღვანელო აზრადაც უნდა მივიღოთ"-ო.

ეს ამონაწერი, მკითხველო, „სახალხო ფურცლიდან" არის (№ 861) და არ გეგონოთ, რომ ეს **ხინამძღვილე**, რომელიც გადაშლია „სახალხო ფურცლის" ხელმძღვანელთ მარტო დღეს—და მათი „სოციალიზაცია" იდენტიურია.

„დემოკრატიისათვის უცვლელი მხოლოდ ერთი პრინციპი შეიძლება იყოს: მიწა მხოლოდ მიწის მუშას, შრომის უფლება მიწაზე! მაგრამ ფორმა შრომის უფლებისა კი ყველგან უნდა გადაწყდეს ადგილობრივ პირობათა მიხედვით". ეს ფორმულა უფრო ფართოა, ვიდრე სოციალიზაცია და ყოველ შემთხვევაში შიგ მოქცევა შეიძლება მაგალითად მიწაზედ კერძო საკუთრების პრინციპისაც.

„საქართველოში მიწის საქმე უნდა გამოარკვიოს და გადასჭრას მხოლოდ საქართველომ, თავის ეროვნულ დამფუძნებელ კრებაზედ",—ამბობს „სახალხო" დღეს და აქამდის კი საქართველოს თავს ახვევდა ისეთ უცნაურ, განყენებულ, შეუსწავლელ და ადგილობრივ პირობებთან შეუგუებელ სოციალიზაციას, რომელსაც № 861 მეთაური სრულიადა სპობს და როგორ გავიგოთ ეს მოვლენა, როგორც სასიხარულო გამობრუნება რეალობის გზაზედ, თუ როგორც უბრალო ლაფსუსი, რომლის შემდეგაც უნდა ველოდეთ ჩვეულებრივ ჩხრიალს „სოციალიზაციისას" და „გზა და გზა სოციალურ რევოლიუციის მოხდენისას"?

კონფერენციაზედ, ისეთი აზრთა შეხლა-შემოხლა იყო, ისეთი შეჯიბრება მემარცხენეობა - რადიკალობაში, რომ მისი რეზოლიუცია სრულიად უარჰყოფს „სახალხო ფურცლის" სურვილს იმის შესწავლისას, რაც შეუსწავლელად კიდეც გადასწყვიტეს. მაგრამ საკითხი გამარტივდება ალბად იმ „ამხ. გელოვანის" ფორმულით, რომელმაც სთქვა: „გლეხი არ არის სოციალიზაციის წინააღმდეგ, მხოლოდ შიშობს მემამულეებთან ერთად ჩვენც არ ჩამოგვერთვას მიწებიო". ე. ი. ფედერალისტები წაართმევენ მიწებს სხვებსა და ამავე დროს გლეხს შეარჩენენ საკუთარსაც. ასეთი დაპირებებით რაღა თქმა უნდა შეიძლება ჩაიტყუო ხალხი, მაგრამ ეს ხომ მოტყუებაც იქნება, რადგან ხალხმა სწორედ უნდა იცოდეს, რომ სოციალიზაცია **სხვათა მიწის წართმევას კი არა ნიშნავს მარტო, არამედ სწორედ მთელი მიწის გასაზოგადოვებას** და ამას არ უნდა უმალავდეს ხალხს ნიღაბ ახდილი პარტია, თუ სურს გამოცდა—საით იხრება ჩვენი გლეხკაცის შეგნება და სურვილი. იგი კი ბუნებით, არსებითად, შეგნებით და სურვილით—მესაკუთრეა, როგორც განვითარებული ინდივიდუალი მეურნეობის წარმომადგენელი და არა მესოციალიზაციე პროტაპლაზმა. სოციალიზაცია ნასესხებია არა კულტუროსან ერებისაგან, არამედ რუსეთის ესერებისაგან.

რ. გაბაშვილი.

პრესა

ამ დღეებში ჩვენ გაზეთში გამოითქვა აზრი ეროვნულ საბჭოს საჭიროების შესახებ. ამავე აზრს გამოსთქვამს ქუთათური „ჩვენი ქვეყანა".

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ორი დიდი კითხვის გადაჭრა დაისახა მიზნად. ეს კითხვებია სახელმწიფოს პოლიტიკურად გადახალისება და ერთა თავისუფლება. ამ ორი კითხვის გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული უმთავრესად რევოლიუციის გამარჯვებაც; თუ ეს კითხვები რევოლიუციურმა მთავრობამ და მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ ვერ ჩააყენა სასურველ კალაპოტში, მაშინ ყოველთვის უნდა მოველოდოთ შემოქმედებითი მუშაობის დაბრკოლებას და განუწყვეტლივ რყევას, კრიზისს. ეს ორი კითხვა ისეა ერთი მეორეში გადახლართული, რომ მათი ცალ-ცალკე მოგვარება შეუძლებელია.

ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ რუსეთში ფეხს ვეღარ მოიკიდებს ისეთი დაუდევარი და ბოროტი მოპყრობა სახელმწიფოსადმი და ხალხისადმი, როგორც წინეთ. რევოლიუციაც სწორედ ამის მაქნისი იყო, მან სძლია დაბრკოლება და ხალხისაგან ნდობით აღჭურვილი პირებიც ჩაუყენა საქმეს სათავეში.

ძველი რეჟიმი, უმთავრესად იმიტომ დაემხო, რომ პოლიტიკას, ამ უზარმაზარ, ეროვნულად აჭრელებულ სახელმწიფოში ერთი ერის ველიკორუსების—საბატონოდ აწარმოებდა. ეს მობატონე ერიც დიდს განსაცდელში იყო და მანაც ვეღარ აიტანა უსაზღვრო ჩაგვრა და საბოლოოდ დაამხო მეფის ტახტი. ველიკორუსებს ამოუდგა გვერდით მთელი რუსეთი—სიბირიაკები, ლიტველები, თურქ-თათრები და სხვები. ჩვენც, ქართველებმაც, დაჰკრა თუ არა ზარმა თავისუფლებისამ, ავიღეთ ხელში წითელი დროშა, იარაღი და შევებრძოლეთ, როგორც საქართველოში, ისე შიდა რუსეთშიც, ბნელ ძალებს.

ყველას მიეცა თავისი, ყველას გაუმართლეს ისეთი სურვილები, რომლებზე ოცნებაც კი საშიში იყო ძველი რეჟიმის დროს. პოლონეთი დამოუკიდებელია. ფინეთი ავტონომიური. უკრაინა დღეს თუ ხვალ მიიღებს ავტონომიას; ასევე სომხეთი, ლიტვა და სხვაც. ყველას ჰპირდებიან!

ყველამ დაიარსა საკუთარი ეროვნული საბჭოები. ყველა ემზადება დამფუძნებელი კრებისათვის, რათა იქ, ამ ეროვნულ საბჭოებში შემუშავებული კითხვები, კატეგორიულად წამოაყენონ გადასაწყვეტად. ყველას უდევს გულში დიდი იმედი სამშობლოს აღორძინებისა და აშენებისა.

ჩვენ კი რყევაში ვართ, ვყოყმანობთ ისიც კი ვერ გამოგვირკვევია ამდენ ხანს, გვინდა ეროვნული პოლიტიკური თვითმართველობა თუ არა.

ჩვენი გაუფრთხილებლობით, ავტონომიის აზრი, ვითარცა საზიზღარი მოჩვენება, აფრთხობს აქა-იქ ჩვენი ხალხის გონებას, აბოროტებს მას და მშვიდსა და შეთანხმებულ მოქმედებას, რაც ესოდენ გვეჭირვება ამ ჟამად, შეუძლებელ ჰყოფს, ხოლო იმავ დროს ხელს უწყობს საქართველოს მტრებს, ბნელი ძალების ფართაშს. ეროვნული კითხვა საბედისწერო კითხვაა მთელი ქართველი ხალხისათვის, ამ კითხვაში აუწერელ არევ-დარევას ბოლო უნდა მოეღოს. ამის შეგნება თანდათან ფეხს იკიდებს ჩვენი ხალხის უფრო შეგნებულ ელემენტებში.

მაშ როგორ გამოვასწოროთ საქმე ისე, რომ მომავალმა თაობამ ზიზღითა და წყევა-კრულვით არ მოგვიგონოს? დაუყოვნებლივ უნდა მოვემზადოთ! რისთვის?—დამფუძნებელი კრებისათვის! როგორ? ეროვნული საბჭო მოვიწვიოთ ყველა პარტიების წარმომადგენლებისაგან! ეს საბჭო განიხილავს ჩვენი ეროვნული კითხვის მოსაგვარებლად სამოქმედო გეგმას. ეს საბჭო გამოარკვევს სრულიად საქართველოს საჭიროებებს და მაქსიმუმი იქნება იგი თუ მინიმუმი, დაუყენებს გადასაწყვეტად დამფუძნებელ კრებას.

დამფუძნებელი კრებისგან ნებით უნდა მივიღოთ ის, რაც რომანოვებმა ძალით წაგვართვეს.

დრო არის ამაზე ვიფიქროთ, ვსწეროთ, ვიზრუნოთ და ამისთვის ვიმოქმედოთ.

თუ ასე არ იქნა, ჩვენი ეროვნული შენობა დაინგრევა და უფრო ძლიერად მივეცემით გადაგვარების, ასიმილიაციის პროცესს.

რევოლუცია

დეპეშები

მინისტრთა თათბირი გადასახადების შესახებ.

პეტროგრადი. მაისის 11. მინისტრთა თათბირი მოხდა ფინანსთა მინისტრ ტერეშჩენკოს, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ კონოვალოვის, შრომის მინისტრ სკობელევის და მათი ამხანაგების მონაწილეობით. თათბირმა ყოველმხრივ განიხილა სამეურნეო და საეკონომიო პირობების მოწესრიგებისათვის საჭირო გარემოებანი.

თათბირმა, ხანგრძლივის აწონ-დაწონის შემდეგ დაადგინა: უწინარეს ყოვლისა საჭიროა დაჩქარდეს ახალ პირდაპირ გარდასახადთა შემოღება სამხედრო მოგებაზე, შემოსავლის კვალობაზე და სხვა. საჭიროდ იქმნა აღიარებული, რომ სამხედრო სამრეწველოთა მოგებაზე იმდენი გადასახადი დაედოს, რომ მთელი ზედმეტი მოგება სახელმწიფოს საკუთრებად გადაიქცეს. წარსულ ორის წლის მოგებას კი, რომელიც სამრეწველოების აქციონერთა ხელშია გადასული, იმდენი გარდასახადი უნდა დაედოს, რომ მთელი მოგება ხაზინას დაუბრუნდეს.

თათბირმა შეიმუშავა საშუალებანი სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებებში მთავრობის კონტროლის დასაწესებლად; ამ საქმის განსახორციელებლად მთავრობა ამ დაწესებულებათა საადმინისტრაციო განყოფილებაში გაჰგზავნის მთავრობის კომისარებს და ამ დაწესებულებებთან შექმნიან მუშათა წარმომადგენლების ორგანოს.

სასურველად მიიჩნიეს, რათა სახელმწიფომ უფრო მახლობელი მონაწილეობა მიიღოს რუსეთის მრეწველობის სამეურნეო ძირითად ნაწილში, სახელდობრ სამთამადნო, სამჩითაო და სხვა დარგებში.

თათბირმა მოიწონა შრომის მინისტრის წარმომადგენლის წინადადება ხელფასის მოწესრიგებისა ყოველ კერძო შემთხვევაში. რომელიმე დარგში მომუშავეთა მოთხოვნილება ხელფასის მომატებისა შემდეგის წესით უნდა სწარმოებდეს: უწყებულ სამრეწველოს შეკავშირებული მუშები განსაზღვრავენ თავის ხელფასს და წარუდგენენ სახელმწიფოს მთავრობას, რომელიც ამა თუ იმ დარგის სამრეწველოში მუშაობის პირობათა მიხედვით განიხილავს ხელფასს.

ხალხის თავისუფლების პარტიის ყრილობა.

პეტროგრადი. მაისის 10. ხალხის თავისუფლების პარტიის გუშინდელი ყრილობა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას შეეხო. მილიუკოვმა სიხარული გამოსთქვა სოციალისტების მთავრობაში შესვლის გამო. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავიო—სთქვა მილიუკოვმა—ეს უმცირესობის აზრიაო. ეს ფორმულა ჩვენის მტრისათვის დიდად სასარგებლოა, რადგანაც ძალიან სწყურია ომის დასრულებაო. როდიჩევი მეტად სთვლის ლაპარაკს უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის და სტამბოლის შესახებ მაშინ, როცა საკუთარი ტერიტორია ჯერ არ გაგვიწმენდია მტრისგანაო. თავად ტრუბეცკოიმ ნეკრასოვის გამოსვლას უწოდა ერთია გამოსვლა ყველას წინააღმდეგ. ყრილობამ ხანგრძლივის კამათის შემდეგ მიიღო ვინავერის რეზოლუცია ზოგიერთ შესწორებით.

პეტროგრადი. მაისის 10. გუშინდელი სხდომა აგრარულ საკითხს შეეხო. კრების უმრავლესობამ გადასწყვიტა არ მიემხროს მიწის სოციალიზაციის და ნაციონალიზაციის ლოზუნგებს. ზოგიერთი ორატორები ცდილობდნენ აღენიშნათ მომავალ სამეწარმეო რეფორმებისათვის.

კოოპერატივების წარმომადგენლების ყრილობა.

პეტროგრადი. მაისის 10. დღესვე გათავდა კოოპერატივების წარმომადგენელთა ყრილობა. კრებაზე რეზოლუცია გამოიტანეს, რითაც საჭიროა კოოპერატიულ საქმეებისთვის საგანგებო კომისარი. გადაწყვეტილია შუამდგომლობა აღიძრას დროებით მთავრობის წინაშე, რათა კოოპერატივებში მომუშავენი სამხედრო ბეგრისგან გაანთავისუფლონ, ხოლო გაწვეულები კოოპერატივებში სამუშაოდ კვლავ უკან დააბრუნონ. აქვე გადაწყვიტეს, რომ საზღვარ-გარედ ხე-ტყის გატანისთვის საგანგებო ნებართვა დაწესდეს.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დელეგატთა ყრილობა.

კამენეც-პოდოლსკი. მაისის 9. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დელეგატთა ყრილობა დაიწყო. თავმჯდომარემ უნტერ-აფიცერმა დაშევსკიმ, სთქვა, რომ ყრილობის მიზანია რაიმე ზომების მიღება, რათა რუსეთის და რუსის ლაშქრის მძიმე მდგომარეობა რითმე შეამსუბუქოს. ბრუსილოვის ტრიბუნაზე გამოსვლამ ხანგრძლივი ტაშისცემა გამოიწვია. ბრუსილოვი კრებას მიესალმა და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა. კრებამ მინისტრებს: ლვოვს, კერენსკის, მ. ჯ. დეპ. საბჭოს და სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების ყრილობას დეპეშები გაუგზავნა.

კერენსკი ჰელსინგფორსში.

ჰელსინგფორსი. მაისის 9. საზღვაო-სამხედრო მინისტრმა ამირბარის მაქსიმოვის თანხლებით რამდენიმე გემი და ჯართა ნაწილები ინახულა. ჯარისკაცები და მეზღვაურები ყველგან დიდის აღფრთოვანებით შეეგებნენ და შეჰფიცეს, რომ მზად ვართ თავისუფლებისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთო. კერენსკი მაქსიმოვის თანხლებით ლაშქრის და ფლოტის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მოვიდა, საერთო სადილს დაესწრო და კომიტეტის წევრებს ესაუბრა. 6 ს. 30 წ. სახალხო სახლში და ფლოტის დეპუტატებისა საერთო კრება გაიმართა. მინისტრის გამოსვლას ხანგრძლივს ტაშით შეეგებნენ. კერენსკიმ საპასუხო სიტყვით მიმართა: „ამხანაგებო! ეს აღფრთოვანება, რომლითაც სახელმწიფოებრივ შემოქმედების ორგანიზაციულ ფოლადის მანქანად უნდა გარდაჰქმნათ, რათა თავისუფალ-დემოკრატიულ ცხოვრების ახალი ფორმები გამოჰქმდოთ, ამ ორი თვის წინედ მე მოველი აქ, თქვენი ამხანაგი, როგორც იუსტიციის მინისტრი და დღეს კი მოვდივარ, როგორც სამხედრო-საზღვაო მინისტრი.

ამ ორი თვის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ დიდი მშვენიერება იგემა და დიდი ტანჯვაც. იყო წუთები, როცა ეჭვიც კი გვეპარებოდა. ჩვენ ვკარგავდით ღონეს და რწმენას რუსის ერის შემოქმედებაში. ორი თვის წინედ მე მარტო მოველი თქვენთან, როგორც დემოკრატიის წარმომადგენელი, ახლა კი, თქვენც უწყით, რომ ჩემთან ბევრნი არიან. და ახლა თუ ერთად ვართ მე შემიძლია გამარჯვება ვიდღესასწაულო. მაგრამ რამ გვაკისრებინა ასეთი პასუხისმგებლობა დემოკრატიულ ბურჟუაზიის წინაშე?—ჩვენ ორი თვის გამოცდილებამ დაგვარწმუნა მის შეძლებაში. ამ ორ თვეში ჩვენმა დემოკრატიამ გაიარა ის ნაბიჯები, რომელსაც ჩვენი საზღვარ გარეთელი ამხანაგები, რამდენიმე ათის წლის განმავლობაში გადიოდნენ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ უკვე მომწიფდით მოქალაქობისთვის. ძველი რეჟიმის დროს, რუსი დემოკრატია და რუსული აზროვნება თვითმპყრობელობის ქუსლს ქვეშ იზნიქებოდა. ჩვენ ვცხოვრობდით სახელმწიფოს ინტერესებით და რა ვხედავდით ქვეყნის დაღუპვას, სისხლის ცრემლებით ვქვითინებდით. თუ საჭირო იყო სიკვდილი, ჩვენ არა ვზოგავდით თავს. მაგრამ ვიცოდით, რომ რუსის ხალხი აზიურ თვითმპყრობელობიდან ევროპიელ ერთა ოჯახში უნდა გადასულიყო. ჩვენ ბეჯითად მიგვყავანდა იქითკენ ერი და ახლა, როდესაც მივაღწიეთ სანატრელ გზა-ჯვარედინს, ახლა ჩვენ გვინდა იგი გავამაგროთ, რადგანაც ჩვენ ვაფუძნებთ არა რომელიმე ფრანგულ ან ინგლისურ წესწყობილებას, არამედ დემოკრატიულ რესპუბლიკას ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით (ხანგრძლივი ტაში. ხმები: მართალია). მინისტრი იხსენიებს თავის თანამოაზრე მინისტრებს, რომელთაც ჰსწამდათ ძალა რუსეთის დემოკრატიისა და მისთვის უარჰყოფდნენ პირადს და წოდებრივ სარგებლიანობას.—ამხანაგებო! მე, სოციალისტმა, ვიკისრე სამხედრო-საზღვაო მინისტრის თანამდებობა (აპლოდისმენტი), ვიკისრე მისთვის, რომ ამ ჟამად ფრონტზე ისევ ის რევოლუციონური ბრძოლაა (გახურებული აპლოდისმენტები, ხმები: მართალია!).—მოვიპოვეთ რა თავისუფლების და თავისუფალ ცხოვრების უფლება, ჩვენს მილიონიან მსხვერპლთაგან მოპოვებულს თავისუფლებას არავის არ დავთმობთ!.“ (აპლოდისმენტები, ძახილი: არა, არა!) ჩვენ წინადაც გვითქვამს საქვეყნოდ, რომ არა გვსურს სხვისი საუნჯე, სხვისი ქონება, ჩვენ გვწყურია უსწრაფესი ზავი და სამუდამო მშვიდობიანობა. მაგრამ მათ, ვისაც ამ სიტყვებს ვეუბნებოდით, არა სწამდათ ჩვენი ძალა, ჩვენი ბრძოლა ჩვენ უფლებათა დასაცავად. იმათ დაიწყეს ფრონტზე დამმობილება და საუკეთესო ლაშქარს ჰგზავნიდნენ საფრანგეთში, ამ ევროპის პირველ დემოკრატიის მოსასპობად.

გლეხთა დეპუტატების ყრილობა.

პეტროგრადი. მაისის 10. გლეხთა დეპუტატების დილის ყრილობა სურსათის საკითხს შეეხო. დღის კრებაზე კი ომის საკითხები ირჩეოდა. ორატორები ყველა ერთხმად უარსჰყოფდნენ სეპარატიულ ზავის ჩამოგდებას და ბრძოლის ასპარეზზე დამმობილებას. გამოითქვა სურვილი, მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დეზერტირების წინააღმდეგ და ომში გაწვეულთა ოჯახების პაი კი გაადიდონ.

აფიცერთა ყრილობა.

პეტროგრადი. მაისის 10. აფიცერთა ყრილობის პირველი საქმიანი სხდომა ნაშუადღევს 2 საათზე დაიწყო. კაზაკთა დელეგაციას მხურვალე ტაშის ცემით შეეგებნენ. კაზაკთა სახელით ყრილობას კაზაკი პოპოვი მიესალმა: დაჰკრა ჟამმა, როდესაც აფიცერთა და ჯარისკაცთა შუა ამართული კედელი დაინგრა. კაზაკობა სთხოვს აფიცრებს ძმურად გაუწოდონ ხელი ჯარისკაცებს. აფიცერთა და ჯარისკაცთა ერთობაშია ჯარის ძალა. ჩვენ უნდა დავამარცხოთ ბოროტი დამპყრობელნი.

კაზაკმა დუტოვმა სთქვა: კაზაკობა ყოველის ღონით მხარს დაუჭერს ხალხის ნებაზე დაყრდნობილ დროებითს მთავრობას.

აფიცერთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დელეგატთა სახელით პასუხი გასცა პოლკოვნიკმა პოპოვმა და აღნიშნა: პირველად კაზაკობამ მოსჭრა ის ტოტი, რომელზედაც რომანოვთა საგვარეულო იჯდა.

საღამოს სხდომაზე ყრილობა შეეხო მთავრობისა, ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს შორის არსებულ დამოკიდებულებას. მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა კორნეტმა ონისიმოვმა და იქვე გამოსთქვა: ერთმთავრობის დამყარება შეუძლებელია, ვიდრე ჯარისკაცთა და მუშათა დელეგატების საბჭო ხელს არ იღებს საკანონმდებლო მუშაობაში მონაწილეობაზე.

არა ნორმალური მოვლენაა არსებობა ორის პალატისა, რომელთაგანაც ქვედა პალატაში ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის წარმომადგენელნი შედიან, ხოლო ზედა პალატაში პროლეტარიატი. იგი მოუწოდებს დროებითს მთავრობას მხარი მივცეთო (დასასრული არ მოსულა).

გაზეთებიდან.

ლენინი სახელმწიფო სათათბიროში.

ტანით საშუალოზე დაბალი, პატარა, ქერა წვერიანი და პაწია შეჭრილ ულვაშებით; თვალები პატარა და ღრმად ჩავარდნილი აქვს. ლაპარაკობს დინჯად და რწმენით და თან აღშფოთებული დადის საორატორო ტრიბუნაზე.

აი ეს არის პორტრეტი ბოლშევიკ ლენინისა.

ამ დღეებში ლენინი მოულოდნელად გამოცხადდა სათათბიროში. მოვიდა იმ მოსაზრებით, რომ თავი დაეცვა სალდათთა და მუშათა აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლიუციასაგან. ამ რეზოლიუციამ, როგორც ვიცით, ლენინის პროპაგანდა ცნო კონტრ-რევოლიუციონერად და სახიფათოდ აღიარა.

ლენინს ნება მისცეს რიგს გარეშე წაეკითხა მოხსენება.

თავის მოხსენებაში ის უმთავრესად სამ დღიურ საკითხს აშუქებდა:—ბოლშევიკების დამოკიდებულება სააგრარო საკითხთან, დროებით მთავრობასთან და ომთან.

კათედრაზე ლენინი ძველებურად აღარ იცავდა თავის პოზიციას ისე, როგორც თავის გაზეთის ფურცლებზე იცავდა. ჩხეიძის სიტყვით რომ ვთქვათ, იგი ომმა შეიპყრო. ან და შეიძლება მას ზედმეტ ტვირთათ მიაჩნია ძველი პოზიციების შენარჩუნება.

მიწის საკითხის შესახებ სთქვა:—მთელი მიწა მშრომელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. სხვა სოციალისტებიც ამას ჰფიქრობენო. ჩვენ, ბოლშევიკები კი გადაჭრით ვამბობთ, რომ მიწა დაუყოვნებლივ გლეხების ხელში გადავიდეს. თუ ეს ახლავე არ განხორციელდა, მრავალი მიწა დარჩება დაუმუშავებელი.

მაგრამ—განაგრძო ლენინმა—ჩვენ ძალადობა არასოდეს არ გვიქადაგია. დეე მიწის გადაცემა მოხდეს სასტიკი დისციპლინით და მხოლოდ და მხოლოდ გლეხთა და სოფლის ბოგანოთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებით. ჩვენ უნდა მოველაპარაკნეთ მშვიდობიანად დიდ მემამულეებს, რომ მათ ნებით დაუთმონ მიწები გლეხებს. დღეს მრავალ ადგილას რუსეთში თითო მემამულეს იმდენი მიწა აქვს, რაც დაახლოვებით 300 გლეხს.

სოფლის ბოგანოთა დეპუტატების საბჭო ლენინის შეხედულებით იარაღია იმ გლეხთა წინააღმდეგ, რომელთაც უკვე საკმაო მიწები შეიძინეს.

დროებით მთავრობასთან ბოლშევიკების დამოკიდებულების შესახებ ლენინმა მწარედ ჩაიცინა და სთქვა—დროებითი მთავრობა კაპიტალიზმს იცავსო.

ომთან დამოკიდებულებაზე ლენინი მკაფიოდ შეჩერდა. ლენინი და მისი მიმდევრები „ხიშტების მიწაში ჩარჭობას“ თურმე სრულებითაც არ ჰქადაგობენ. მაგრამ ყოველი ღონით სცდილობენ სისხლის ღვრის შეწყვეტას. ამის საშუალება ლენინის შეხედულებით მხოლოდ ერთია—ფრონტზე დამმობილება.

ლენინმა ილაპარაკა ომის ურყოფით მხარეებზე და შეეხო რუსეთის და ინგლისის მიერ ჩინეთისა და სპარსეთის მშვიდობიანი გზით დაპყრობას და დამონებას.

ამ მოხსენების კითხვის დროს ლენინს მრავალმა მოწინააღმდეგემ დაწერილი შეკითხვა მისცა. რათ ჰქადაგებ ბანკების გაძარცვას და რათ ჰფიქრობ რომ კურლიანდიის ხელახლად დაპყრობა რუსეთის ჯარის მიერ ანექსიას უდრისო. ლენინი თითქმის ყველა შეკითხვას უპასუხებდა. ბანკების გაძარცვის შესახებ სრულებით გაჩუმდა, კურლიანდიის შესახებ ძლიერ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ ისე გაურკვევლად, რომ მთლიანი დასკვნის გამოტანა შეუძლებელი შეიქნა. ილაპარაკა აგრეთვე „დამმობილების“ დიდებით მნიშვნელობაზე.

— როგორ უნდა დავძმობილდეთ ჩვენ გერმანელებთან უპასუხა, ლენინს ერთმა სალდათმა,—როცა გერმანელები ჩვენ თხრილებში თავისუფლად გამოდიან წითელი დროშებით და ჩვენ როგორც კი ამოვყოფთ თავს თხრილებიდან, იმ წამსვე მძიმე ზარბაზნებს გვიშენენო.

„საერთაშორისო დამოკიდებულების განყოფილება.

მუშათა და სალდათთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა ახალი განყოფილება „საერთაშორისო დამოკიდებულებისა“. განყოფილების თავმჯდომარედ მ. ი. სკობელევია.

ამ განყოფილების მიზანია უცხო სახელმწიფოები რუსეთის ცხოვრებას გააცნოს და მჭიდრო კავშირი იქონიოს მათთან. ამ მიზნის მისაღწევად ეს განყოფილება ყოველდღე ჰგზავნის უცხო ქვეყნებში პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს დეპეშებს, სადაც რუსეთის შინაური ცხოვრება იხატება. ამ დეპეშებს საერთო სახელი ასეთი ექნებათ:—„მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ცნობანი“.

ეროვნული საკითხი

დეპეშები

ირლანდიის ავტონომია.

ლონდონი. მაისის 8. თემთა პალატაში ლლოიდ ჯორჯმა ირლანდიის საკითხზე მოხსენება წაიკითხა და განაცხადა: ამ საკითხის გადასაწყვეტად გადადგმულ ნაბიჯის დროს მუდამ ერთი შეცდომა მოსდიოდათ, სახელდობრ ის, რომ საკითხის გადაწყვეტის თაოსნობა მუდამ ინგლისის მთავრობის მხრიდან გამოდიოდა. ახლანდელმა მთავრობამ გადასწყვიტა, ირლანდიელებს მისცეს საშუალება, თვითონ შეიმუშაონ მათთვის სასურველ მართვა-გამგეობის წესი და მთავრობას წარუდგინონ. ასეთმა გზამ სასურველი ნაყოფი გამოიღო კანადასა, ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკაში. მთავრობა ირლანდიელებს იწვევს, ირლანდიის კონსტიტუციის განხილვის დროს დაესწრონ. ამ თათბირს უნდა დაესწროს მცხოვრებთა ყველა კლასის წარმომადგენელი, სინფეინერების გამოუკლებლად. სხდომების თავმჯდომარეს მთავრობა დაჰნიშნავს. თუ შეთანხმება მოხდა, მთავრობა მიღებულ გადაწყვეტილებას სისრულეში მოსაყვანად შესაფერ ზომებს მიიღებს. თათბირის კრებები გარეშე ხალხის დაუსწრებლად მოხდება.

ლლოიდ - ჯორჯმა ულტერელების მამულიშვილურ გრძნობას მიჰმართა და მოუწოდა გაითვალისწინონ თუ არსებული მდგომარეობა რაოდენად უთხრის ძირს სახელმწიფოს ძლიერებას.

რეიმონდმა განაცხადა: ირლანდიის პარტია სიამოვნებად ჩასთვლის თავის თანამოქალაქეებთან შეთანხმებასაო.

ულსტერის უნიონისტების სახელით ლონდსდელმა განაცხადა, პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთ წარმოდგენილ წინადადების უარსყოფისათვისაო.

კარსონმა განაცხადა: ულსტერელნი თათბირში მონაწილეობას მიიღებენ, თუმცა თავის რწმენას კი არ გადუხვევენო.

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა

პეტროგრადი. მაისის 13. დასავლეთისა, რუმინეთისა და კავკასიის ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლაა.

მფრინავთა მოქმედება.

რიგის დასავლეთით, მოპირდაპირის მფრინავებმა შლოკს 4 ყუმბარა ესროლეს. მაისის ათს გალიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის ალბატროს შეება ჩვენი მფრინავი კაპიტანი მორდახი, რის შემდეგაც მტრის საფრენი სწრაფად დაეშო და თავისიანების მხარეს დაეცა. მტრის საფრენი ზარბაზნებით დავაცხავეთ, ხოლო დაჭრილი მფრინავი, მოპირდაპირის ჯარის კაცებმა გაიტაცეს.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა

პარიზი. მაისის 11. დღის ოფიც. ცნობა. გუშინ საღამოს ცხრის ნახევარი იქნებოდა, როდესაც გერმანელებმა ვოკლერის ზეგანზე იერიში მოიტანეს; იერიშს წინ უძღოდა მედგარი სროლა ზარბაზნებისა. დიდად დაზარალებული მტერი თავის სანგრებშივე მივაბრუნეთ. 9 მაისის ბრძოლის დროს აქ დატყვევებულთა შორის, 4 სხვა და სხვა დივიზიის 6 პოლკის ჯარისკაცები იყვნენ. 18 აპრილს აქეთ სუასონსა და ომერიკის შუა ტყვედ წამოგვეყვანია 8600 ჯანსაღი გერმანელი. შამპანში საკმაოდ ძლიერი ბრძოლაა ზარბაზნებით, სწარმოებს მზვერავთა შეჯახება და მარონვილერის მიდამოებშიაც დრო და დრო ზარბაზნების სროლაა. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე არსებითი არაფერია.

პარიზი. მაისის 9. დღის ოფიციალი ცნობა. შამპანებში კორნილიეს, კასკის და ტეტონის მთის ჩრდილოეთით მტრის ქვეითა ჯარმა არტილერიის შემწეობით ჩვენს პოზიციებზე იერიშები მოიტანა. მტერი დიდათ დაზარალებული უკუ ვაქციეთ. მაისის 7 დავატყვევეთ ათასამდე გერმანელი ჯარის კაცი მათ შორის 28 აფიცერი. არტილერიამ ვოკლერის ზეგანზედ მოქმედება დიდად განაცხოველა. მტრის იერიშები რამდენიმე პუნქტებში მხნედ მოვიგერიეთ. ჩვენც რამდენჯერმე თავს დავესხით მტრის მოწინავე ხაზებს და 15 კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ.

იტალიის ბანაკის ცნობა.

რომი. მაისის 11. იტალიის მთავარბანაკის ოფიც. ცნობა. სახელოვანმა მესამე ლაშქარმა კარსოზე მტრის ხაზი გაარღვია კოსტანიკვიციდან ზღვის კიდემდე, გასცდა მოსკომალოს და ლიკატის, დაიპყრო ჯამვანი და მეტად მნიშვნელოვანი და გამაგრებული მაღლობები. ხელთ ვიგდეთ 9000-ზე მეტი ტყვე, მათ შორის 300 აფიცერი.

ზავის გარშემო

სტოკჰოლმი. მაისის 9. ბერლინიდან იტყობინებიან: დამოუკიდებელ სოციალისტების წარმომადგენლებს პასპორტებს აძლევენ სტოკჰოლმის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად, გოფმანისა გარდა, რომელსაც სახელმწიფო ღალატს აბრალებენ.

სტოკჰოლმი. მაისის 11. გერმანელთა დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატთა პარტიის ბელადი გააზე სკანდინავიის კომიტეტს დეპეშით ატყობინებს, სტოკჰოლმში წამოსასვლელად პასპორტების მიღებას ჯერ დაბრკოლებანი კიდევ აქვსო.

ვაშინგტონი. მაისის 11 ლანსინგმა განაცხადა, სოციალისტებს სამშვიდობო კონფერენციაზე სტოკჰოლმში წასასვლელად პასპორტებს არ მივცემთო.

მაკედონია

სოლუნი. მაისის 9. ლტოლვილთა სიტყვით ქალაქ არვალს ბაშიბუზუკები შემოერტყნენ გერმანელ და ოსმალო ოფიცრების ხელმძღვანელობით. მამაკაცობა ყაზარმებში ჩაჰკეტეს, ქალები და ბავშვები ქალაქ გარედ გაირეკეს, საშინელი ძალმომრეობა იხმარეს და ფეხით გაირეკეს რკინის გზის სადგურამდე, საიდანაც მცირე აზიაში გაისტუმრეს. მცირე აზიაში მონობა აღდგენილია. ჯანსაღი ბერძნები იძულებულნი არიან ოსმალეთის სახელმწიფოსათვის მინდვრის სამუშაო აწარმოონ.

საბერძნეთი

ათინა. მაისის 9. პურის სიმცირე დღითი დღე საფრთხეში აგდებს საზოგადოებრივს მშვიდობიანობას. მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი საგანგებო ზომებს მიეცნენ, რათა საბერძნეთს როგორმე მიაწოდონ პური. მთავრობამ დღეს განაწილება დაიწყო მუხუდოს და სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარ პურისა. პურს კაცის თავზე 50 გრამს იძლევიან.

უკანასკნელი დეპეშები

ქალაქი ცარიცინი გარნიზონის ხელშია. ჯარის კაცებმა ქალაქს ნახევარი მილიონი კონტრიბუცია გააწერეს ჰფიქრობენ კონტრიბუციით აღებული ფული ჯარის კაცებს და ომში წაყვანილთა მეუღლეებს ჯამაგირები დაურიგონ. ქალაქში წესრიგი არ არის. მდინარე ვოლგაზე გემები ჯარის კაცებმა მიითვისეს.

—

კადეტთა სიეზდზედ მაკლაკოვმა აგრარულ საკითხის შესახებ განაცხადა:—ჩამოართვით დიდ მემამულეებს თავისუფალი დაუმუშავებელი მიწები და აგრეთვე იჯარით გაცემული მიწები, მაგრამ ის მიწები, რომელზედაც მემამულენი მუშაობენ თუნდ დაქირავებული შრომით, მათ საკუთრებათ უნდა დარჩეს. როდიჩევმა განაცხადა, მიწაზე კერძო საკუთრების შენარჩუნების პრინციპს ვიცავ, მაგრამ მიწის მფლობელობას კი ვზღუდავო. მის შეხედულებით კერძო საკუთრების ინსტიტუტი ხალხის მასაში მტკიცეთ არის დაცული.

„საქართველოს“ დეპეშა

ბუნების მეტყველთა და ფარმაცევტების კავშირის დეპეშა.

თელავი. მაისის 12. მედიკო-ფარმაცევტების და ბუნების მეტყველთა კახეთის კავშირმა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისარიატს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: მედიკო-ფარმაცევტების და ბუნების მეტყველთა კავშირი მოგესალმებათ თქვენ, ახალ მთავრობის წარმომადგენლებს, და პირობას გაძლევთ, რომ იგი სარევოლუციო გზაზე სავლელად მთელის არსებით მხარს მისცემს ახალ მთავრობას, რათა რუსეთში ყველა ეროვნებათა ავტონომიური და ფედერატიულ დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდეს და ომი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავამდე იქმნეს მიყვანილი. გაუმარჯოს სარევოლუციო არმიას და მის კავშირს ხალხთან.

დავმჯდომარე ჯანდიერი.

მდივანი ბ. ღაშვილი.

ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის

მთავარი ბიურო და კომიტეტი ფრეილინის ქუჩაზე, ქართულ ბანკის ძველ შენობაში გადავიდა.

ტელეფონი 5—26.

ქრონიკა

კავკასია

◆ **მაძებარი პოლიცია.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა აცნობა საგუბერნიო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ მაძებარი პოლიცია, რომელსაც სისხლისსამართლის საქმეები აქვს მინდობილი, გაუქმებული არ იქნება, არამედ იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარებაო.

◆ **გაფიცვა ბაქოში.** როგორც ატყობინებიან კომისარს აკ. ჩხენკელს, ბაქოს ნავთის საწარმოში მუშები გაფიცულან. მომრიგებელი კამერები ვერას გახდნენ თურმე და მდგომარეობა სწვავდება. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ წინადადება მისცა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ ცალკე კომისარი დანიშნოს ბაქოს ნავთის სამრეწველოში, რომელსაც დავალებული ექნება ერთმანეთთა შორის მოარიგოს მუშები და მრეწველები.

◆ **შავი ზღვის რკინის გზა.** სოჭიდან მიღებულ დეპეშის მიხედვით, შავი ზღვის რკინის გზის მუშაობამ დიდი დაბრკოლება გადაეღობებია ახალ სენაკში. ადგილის პატრონები ლანდაგის გასაყვანად მიწას არ უთმობენ თურმე გზას და ადგილობრივი მცხოვრებნი დიდი წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ გზის სამუშაოდ ტყვე ჯარისკაცები და ჩინელები მოიყვანონ. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ ამის გამო წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის კომისარიატს გაგზავნოს სამეგრელოში საქმის მოსაგვარებლად ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა თბილისში.

◆ **სანატორიუმი პოლიტიკურთათვის.** განთავისუფლებულ და დაავადმყოფებულ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის სანატორიუმის მოწყობა აბასთუმანში იკისრა ერობათა კავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილებამ.

საქართველო

ქართული უნივერსიტეტი. ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთ წრეში ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრი დაბადებულა. პირველათ მოწყობილი იქნება „სიბრძნის ფაკულტეტი“, რომელიც შეაერთებს ორ ფაკულტეტს: საისტორიო-ფილოლოგიურს და აღმოსავლეთ ენებისას.

ახალი წიგნი „თამარ მეფე“. რედაქციამ მიიღო მ. გ. ჯანაშვილის ახალი წიგნი „თამარ მეფე“, გამოცემა თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა. წიგნი მოზრდილია და ღირს 1 მან. 20 კაპ.

თბილისი.

კვირას, 14 მაისს, საღამოს 6 საათზედ, დანიშნულია წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება ძველ სემინარიის შენობაში, პუშკინის ქუჩაზე, ძიძიშვილის მოსამზადებელ სკოლაში მე-3 და 4 უბნის კომიტეტის ასარჩევად.

ქალაქის თვითმართველობის მსახურთა კავშირი. საგანგებო კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირისათვის წესდების პროექტის შემუშავება, უკვე დაასრულა თავისი მუშაობა. პროექტს ამ დღეებში წარუდგენს დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას.

ჩხრეკა-დაპატიმრების წესი. ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ გაჩხრეკა, დაპატიმრება, იარაღის ჩამორთმევა და სხვ. მხოლოდ კომიტეტის ორდერით უნდა ხდებოდეს და სხვას ამისი უფლება არ აქვსო; ვინც ამ წესს დაარღვევს, პასუხისგებაში მიეცემაო.

დეზერტირების გამოცხადების ვადა მაისის 15-ს თავდება. ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა 5000 ცალი მოწოდება დაბეჭდვინა ხალხში გასავრცელებლად. კომიტეტი ურჩევს დეზერტირებს თავისი ნებით გამოცხადდნენ.

წარმოდგენა მეხუთე უბნის ახლად დაარსებული განყოფილება თბ. ქ. ქალთა საზოგადოებისა, მუსულმანთა აუდიტორიაში ორშაბათს 15 მაისს ჰმართავს საღამო-წარმოდგენას.

მდგმურების ჩაწერა. მილიციონერთ დაევალათ 14 მაისიდან შეუდგნენ შემოწმებას, ყველა მდგმური არის ჩაწერილი სახლის დავთრებში თუ არა.

გაზეთის დამტარებლების კრება. მაისის 15 პუშკინის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათზე დანიშნულია გაზეთის დამტარებლების კრება, ამხანაგებს სთხოვენ დაესწრონ კრებას.

ადელხანოვის ქარხანა და 8 საათის სამუშაო დრო. ადელხანოვის ქარხანას აღებული აქვს მხედრობისათვის ზოგიერთ საჭირო ნივთების დამზადება. ქარხანაში, მუშების მოთხოვნილების თანახმად, 8 საათის სამუშაო დღე შემოიღეს. ეხლა ქარხნის ადმინისტრაცია სჩივის, რომ სამუშაო დროს შემცირების გამო საქმე ფუჭდებაო. მუშათა დეპუტატების საბჭომ ეჭვი აიღო, რომ ქარხანა ხელოვნურად აფერხებს საქმეს, რათა დაწესებული სამუშაო დრო გაადიდოს და გადასწყვიტა, მუშაობის შეფერხების მიზეზის გამოძიება მიანდოს საგანგებო კომისიას, რომელშიაც წევრებად შევლენ მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს წევრები.

მომრიგებელი კამერა. იმ მომრიგებელ კამერაში, რომელმაც უნდა განიხილოს ტრამვაის მოსამსახურეთა მოთხოვნილება შესახებ იმისა, რომ მათ ქალაქის თვითმართველობამ ცალკე სასყიდელი მისცეს 8 საათზე მეტ მუშაობაში, ქალაქის თვითმართველობამ თავის წარმომადგენლებად აირჩია: კ. ნ. ეფხაზი, ი. ი. ზურაბიშვილი, ი. ს. სპენდიაროვი, ს. ნ. ტიმოფეევი, მ. ა. ოგანეზოვი და მ. არუთინოვი.

გაზეთები „გოზროვ.“, „სახალხო ფურც.“ და „აისტანი“ მაისის 13-ს არ გამოსულან, რადგან მემანქანის თანაშემწეები (ქაღალდის მიმცემნი) გაიფიცნენ.

ლ. თ. ტიგრანოვმა, ქალაქის საბჭოს ხმოსანმა, ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა, თანამდებობიდან უნდა გადავდგეო. ამას ბ-ნ ტიგრანოვი იმით ასაბუთებს, რომ უკანასკნელ დროს ისეთი პირობები შექმნა ქალაქის თვითმართველობის გარშემო, რომ ხმოსნები და გამგეობის წევრნი მოკლებული არიან დამოუკიდებლად იმუშაონ და იმსჯელონო.

ლინჩსძიებანი ქურდების წინააღმდეგ. ამ ბოლო ხანებში ქურდობა მეტისმეტად გახშირდა თბილისში. როგორც ამბობენ, ქურდებს დიდი ორგანიზაცია შეუდგენიათ და თან გადაუწყვეტიათ სასიკვდილოთ არ დაზოგონ მილიციონერები და სხვა მდევარნი, რათა შიშის ზარი დასცენ მცხოვრებთ და უფრო ადვილად მოახერხონ სხვისი საკუთრების მითვისება. ამის გამო მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა თბილისის მილიციის უფროსს სასტიკი ღონისძიებანი იხმაროს ქურდების წინააღმდეგ. იმ შემთხვევაშიაც კი დააპატიმროს ისინი და სასტიკ რეჟიმში ამყოფოს, როცა მათზე ეჭვს აიღებს, მაგრამ ბოროტმოქმედება არ უმტკიცდებათ.

თბილისის მე-2-ე საკომერციო სასწავლებელი 21-მა კაცმა დაასრულა. ამათში 7 ქართველია.

ლაზარეთების გადიდება. ქალაქთა კავშირის თბილისის კომიტეტმა გადასწყვიტა ზოგიერთი ლაზარეთები გაადიდოს, მაგალითად, ლაზარეთში № 50 უნდა მოათავსოს 500 საწოლი და ლაზარეთში № 12 850 საწოლი. გარდა ამისა ლაზარეთები უნდა მოათავსონ რუსების კლუბში და რეალურ სასწავლებელში. ერობათა კავშირმა უკვე მოაწყო ახალი ლაზარეთი № 49 სატუსაღოს ახალ შენობაში.

მუშათა კავშირის კრება. დღეს, მაისის 14 ს, სახალხო სახლში დანიშნულია თამბაქოს ქარხნების მუშათა პროფესიონალ კავშირის წევრთა კრება.

ქუთაისი.

საადგილ-მამულო ბანკის 1916 წლის ოპერაციების მოგება, როგორც გავიგეთ, უდრის ას ათი ათას მანეთს.

ბათუმი

ბოროტ მოქმედება ბათუმში მატულობს. მილიციონერების მოვალეობას ასრულებენ ჯარის-კაცები. გადაწყვეტილია მილიციის მოწყობა, ხოლო ჯარის-კაცების ფრონტზე გაგზავნა.

პროვინცია

ღვინის ვაჭრობა თელავში. თელავის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად ღვინის მოვაჭრეებს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ დუქნებში ღვინო არავის დაალევინონ და მხოლოდ დუქნიდან გასატანად მიჰყიდონ ხალხს. სამიკიტნოები დილის 7 საათზე უნდა გაიღოს და საღამოს 6 საათზე დაიკეტოს.

ყულაბებით ფულის მოგროვება თელავში. მაისის 6-ს, სალდათები და ოფიცრები ჯარის კაცთა და მუშათა საბჭოების სასარგებლოდ ყულაბებით ფულს აგროვებდნენ.

ყვირილის რაიონის მასწავლებელთა დადგენილება. მაისის 10-ს, ყვირილაში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ყვირილის რაიონის ფილიალი განყოფილება. მისი დადგენილებით ხსენებულ რაიონის ყველა მასწავლებელი ზნეობრივად ვალდებულია ამ განყოფილების წევრად ჩაეწეროს. ამიტომ ყვირილის განყოფილების გამგეობა სთხოვს ყველა იმ მასწავლებლებს, ვინც კი ამ კრებას არ დაესწრებია, წევრად ჩაეწეროს.

გადასახლება სპეკულიანტობისთვის. ქ. ფოთის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით აპრილის 30 დან, ქ. ფოთიდან გადასახლებულ იქმნა დ. ოჩამჩირეში სპეკულიაციის გულისათვის კავკასიის ბანკის წარმომადგენელი გ. ი. ხოჯაშვილი.

მატარებლის დამსხვრევა. აპრილის 20-ს დილის 8 საათზე სადგურ მოლითსა და მარელისს შუა 145 ვერსზე დიდი უბედურება დატრიალდა. მარელისიდან მომავალი მუშა მატარებელი, რომელსაც ორი ორთქლმავალი ება, დაეჯახა მოლითიდან შემთხვევით გამოქანებულს ორთქლმავალს ცხრა ვაგონით. სამივე ორთქლმავალი დაიმსხვრა და ცეცხლი წაეკიდა. დაიწვა აგრეთვე ყველა ვაგონი. დაშავდა მძიმეთ 8 მოსამსახურე, სრულიად დაიწვა ერთი მემანქანე. დასახიჩრებულები თბილისის რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს.

სოც.-ფედერალისტთა რბევა სამტრედიაში. მაისის 6 აქ განმეორდა ის, რაც ერთი კვირის წინათ ქუთაისში მოხდა. აქაურ სოც.-ფედერალისტების კლუბის წინ თავი მოიყარეს ჯარისკაცებმა. როგორც „სახ. ფურცელი“ გადმოგვცემს ბრბოს ხელმძღვანელობდნენ ორი ქართველი ჯარისკაცი, რომელთაც განაცხადეს, სოც.-დემ. პარტიის სახელით ვმოქმედებთო. ბრბომ კლუბი აიკლო და „ურა“-ს ძახილით დროშა გაიტაცა. დააპატიმრეს აგრეთვე სახლის პატრონი და მისი ქალიშვილი.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

გაზეთ „საქართველოს“ კანტორა ამით აცხადებს, რომ იმ პირთ, ვისაც ხვედრი ფული (წლის მეორე ნახევრის) არ შემოუტანიათ, გაზეთის გზავნა მოესპობათ 15 მაისიდან.

მუშათა და გლეხთა ყრილობა

როგორც მკითხველებმა უწყის, ივნისის პირველს პეტროგრადში შეიკრიბება მთელი რუსეთის მუშათა, გლეხთა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების დელეგატები. თანახმად მუშათა ყველა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის თათბირის გადაწყვეტილების და ინსტრუქციისა, რომელიც შეიმუშავა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ამიერ-კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოს ცენტრმა გადასწყვიტა მოიწვიოს ქ. თბილისში მაისის 20 მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა კავკასიის საოლქო კრება.

კრებას საფუძვლად დაედება შემდეგი: 1) კავკასიის საოლქო კრებას ესწრება ამიერ-კავკასიის და ჩრდილო კავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების ყველა საბჭოები. 2) კრებაზე დასასწრებლად წარმომადგენლებს ირჩევენ პირდაპირ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები:

ა) მუშათა წარმომადგენლობა, მუშათა დეპუტატების საბჭოების დადგენილებით ათასმა შემდგარმა ამხანაგმა უნდა აირჩიოს ერთი დელეგატი.

შენიშვნა: ის საბჭოები, რომლებსაც ჰყავს ათასზე ნაკლები და არა ნაკლები 800 კაცისა ირჩევს ერთ დელეგატს. იმ საბჭოებს, რომლებსაც 800 ნაკლები კაცი ჰყავს სხვა საბჭოს უერთდება და 1000 კაცზე ერთ დელეგატს ირჩევს.

ბ) გლეხთა არჩევნები: კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში, გარდა ქუთაისის გუბერნიის, და ბათუმის ოლქისა, დელეგატებს ირჩევს რაიონული საბჭოები: წვრილები ერთ დელეგატს, ხოლო მსხვილები ორს.

ქუთაისის გუბერნიაში ყოველი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს ოთხ გლეხ დელეგატს. ბათუმის, თერგის, დაღესტანის და ყუბანის ოლქებში, შავი ზღვის და სტავროპოლის გუბერნიებში თვითეული უბანი ირჩევს ერთ დელეგატს.

დღიური წეს-რიგი:

1) მიმდინარე მომენტი. 2) კოალიციონური სამინისტრო. 3) ომი და ზავი. 4) მუშათა საკითხი. 5) მიწის საკითხი. 6) სასურსათო საკითხი. 7) ეროვნული საკითხი. 8) საქალაქო და საერობო მართველობა. 9) ტრანსპორტი. 10) სასამართლოს რეორგანიზაცია. 11) მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის შექმნა და ჯარის ცენტრთან შეერთება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

საქ. ერ.-დემ. პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა.

მაისს 28, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.

ბ. საქართველოს ტერიტორია.

გ. საქართველოს ფინანსები.

დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.

ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.

ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.

ჱ. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.

ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.

კ. პარტიული პრესა.

ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის
მთავარი კომიტეტი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა ბიურო სთხოვს კომიტეტის ყველა წევრს დაესწრონ კომიტეტის მორიგ კრებას, რომელიც დანიშნულია დღეს, მაისის 14-ს, საღამოს სრულ ექვს საათამდე, ოლღას ქუჩაზე, № 52, თბილისის პირველ-დაწყებით მეორე სამოქალაქო სკოლის შენობაში.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა და მოწაფეთა შეერთებული სარეფერატო სექცია ახალგაზრდა თანამოაზრეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მორიგი რეფერატი წაკითხულ იქნება ხვალ, მაისის 15 ს, ოლღას ქუჩაზე, სახ. № 52 თბილისის პირველ-დაწყებით მეორე სამოქალაქო სკოლაში.

რკინის გზის კანტორის მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობა

მაისის 11-ს ავჭალის აუდიტორიის შენობაში დაიწყო ყრილობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის კანტორის მოსამსახურეთა დელეგატებისა პროფესიონალ კავშირის დასარსებლად. ყრილობაზე გამოცხადდა 53 დელეგატი, თუმცა კი 103 იყო ნავარაუდევი. თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. ა. ტერ-სტეპანოვი, ამხანაგებად—ნ. ი. ლეჟავა და ლ. გ. ასათიანი და მდივნებად დ. გ. არონიშიძე და კალანდია. საორგანიზაციო ბიუროს სახელით პროფესიონალ კავშირის დანიშნულებასა და უფლებებზე მოხსენება წაიკითხა დ. გ. არონიშიძემ. კრებას მიესალმა რკინის გზის ცენტრალ კომიტეტის სახელით ვ. ნინიძე. მან, დამსწრეთ განუზიარა კომიტეტის უარყოფითი დამოკიდებულება ასეთ კავშირებისადმი. მას უპასუხეს: თუ გვესალმებით, რას მიქვიან უარყოფითი დამოკიდებულება, ან ჰა სთქვით, ან არაო. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ყრილობამ აირჩია ა. სიროტენკო და დ. არონიშიძე ცენტრალ კომიტეტთან მოლაპარაკების გასამართავად. არჩეულმა პირებმა შეასრულეს დავალება და მეორე დღეს, მაისის 12, ყრილობას წარმოუდგინეს მაისის 10 სხდომაზე შედგენილი დეპეშა ცენტრალ კომიტეტისა. ამ დეპეშას ცენტრალი კომიტეტი უგზავნიდა ადგილობრივ კომიტეტებს და აფრთხილებდა მათ დელეგატებისათვის რომ ნება არ მიეცათ ყრილობაზე გამგზავრებისა. როგორც დეპეშის კილომ, აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენელმა მაისის 11 ყრილობას არ გაუზიარა მაისის 10 სხდომაზე შედგენილ დეპეშის შინაარსი, დამსწრენი მეტად აღაშფოთა. იყო წინადადება ცენტრალ კომიტეტის დადგენილება მუშათა დეპუტატების საბჭოსა და ამიერ-კავკასიის კომისარიატში განვასაჩივროთო. იქვე საყურადღებოდ განცხადებულ იქმნა, რომ იმავე ცენტრალ კომიტეტის დადგენილებით და თანხმობით დაარსებულა პროფესიონალი კავშირები ინჟინერ-ტეხნიკებისა და რკინის გზის კურიერ-მოსამსახურეებისა (სტოროჟებისა). ამ საკითხის გამო ჩაეწერა 40 ორატორი. სუყველა მოლაპარაკენი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ცენტრალ კომიტეტის დადგენილება მხოლოდ გაუგებრობის ნაყოფიაო. დასასრულ, კრებამ შემდეგი დაადგინა: 1) ყრილობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის კანტორის მოსამსახურეთა პროფესიონალ კავშირის დამფუძნებელ კრებად იქმნას მიჩნეული, 2) დაიშალოს ყრილობა იმ მოსაზრებათა გამო, რომელნიც ჯერ კიდევ მაისის 10 კერძო თათბირზე წამოაყენა ვ. ა. ტერ-სტეპანოვმა, სახელდობრ: მუშაობა ყრილობისა მეტად საძნელო იქნება ცალკე საკითხებზე მოხსენებათა წინასწარ შემუშავებისა გამო და 3) ვინაიდან სასურველი არ არის, რომ ცენტრალ კომიტეტთან დამოკიდებულება გამწვავდეს, ხელახლა გაიმართოს მოლაპარაკება ცენტრალ კომიტეტთან განსაკუთრებულ ბიუროს საშუალებით, რომელმაც შემდეგში უნდა მოიწვიოს მეორე უფრო ფართე ყრილობა დელეგატებისა და დაამზადოს ამ დროსათვის მასალები სხვა და სხვა საკითხებზე.

ყრილობამ აირჩია საორგანიზაციო ბიურო: 7 წევრი და 3 კანდიდატი. ა. სიროტენკო, დ. არონიშიძე, ნ. ლეჟავა, ნ. უტიაშვილი, ლ. ასათიანი, კალანდია, ა. იოსელიანი, კანდიდატებად: ქ-ნნი შულმან, მ. ჯუღელი და ბ-ნი ნ. დიკი. ბიურომ თავის მხრით აირჩია თავმჯდომარედ ა. სიროტენკო და მდივნად დ. არონიშიძე. სამი დღის მუშაობის შემდეგ ყრილობა მაისის 12-ს დაიშალა.

საფრანგეთის რევოლუცია*)

I

ძველი რეჟიმი საფრანგეთში.

რომ უკეთესად გავიგოთ საფრანგეთის რევოლუცია და მისი შედეგების მნიშვნელობა, საჭიროა დაახლოვებით გავიცნოთ იმ დროინდელი საფრანგეთი, მისი პოლიტიკური თუ სოციალური ორგანიზაცია.

ტერიტორიის მიხედვით 1789 წ., საფრანგეთი თითქმის იგივე იყო, რაც დღეს არის. ზედმეტად იგი შეიცავდა ელზასს, ლორენს და ჩრდილოეთით ზოგიერთ პატარა საგრაფოებს, როგორიც იყო, ვთქვათ, ნიცა და სავოა.

პოლიტიკურად იგი აბსოლუტურ ცენტრალ მონარქიას წარმოადგენდა. მთელი ძალა მეფის ხელში იყო, ყველაფერი მისგან ჰხდებოდა, უიმისოდ ხელის განძრევაც კი არ შეეძლებოდა. გვირგვინი მეფისა მემკვიდრეობით გადადიოდა შვილიდან შვილზე (უფროს ვაჟიშვილზე). მეფეს ღვთის მოადგილედ სთვლიდენ „განგების უფლებაა მისი მეფობაო“,—ასე ამბობდნენ საფრანგეთში და ამიტომაც მის მოქმედების კონტროლი არავის შეეძლო. სურვილი და ნება მეფისა ღვთის კანონი იყო, თუ გნებავთ, მეფე განხორციელებული ცოცხალი კანონი იყო, რაც თუნდ ლიუდოვიკო XVI-ე სიტყვებიდანაც ნათლად სჩანს, იმ სიტყვებიდან რომლითაც მან ერთხელ მიჰმართა მთავარს ორლეანს: „C'est legal, parce gue ie le veut!“ ეს კანონიერია იმიტომ, რომ მე ეს ასე მსურს! უკეთესი გამოხატულება მონარქიული დოქტრინისა აღარ შეიძლება: მეფე ამ ქვეყნიური ღმერთი იყო!

აბსოლუტიზმის საშინელება ამით როდი თავდება. მეფის განკარგულებაში იყო მთელი სამეფოს ავლა-დიდება, ქონების ხარჯვა-ფლანგვა, ომის გამოცხადება, ზავის ჩამოგდება მას ისე შეეძლო, როგორც მოეპრიანებოდა. არც ერთი წიგნი, არც ერთი ჟურნალი არ გამოვიდოდა მის ნებადაურთველად. ცენზურის სისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა. მეფე ურცხვად ჰსარგებლობდა ერთგვარ „ფარული ბარათებით“: ამა თუ იმ პირის დასასჯელად საკმარისი იყო ამ ბარათზე თუნდა უდანაშაულოს სახელი და გვარი მოჰხვედროდა, რომ მსხვერპლისთვის თავი ამოეყოფინებინათ საგანგებო საწამებელს ციხეებში, რომელთა შორის განთქმული იყო პარიზში „ბასტილია“, ლიონში „პიერანსიანი“, ხოლო ალპებში „პინეროლი“. დაპატიმრების ვადაც მეფის განკარგულებაში იყო. ამ საშინელს „ბარათებს“ ბოლო მოეღო მხოლოდ 1788 წ., როდესაც რევოლუციის ქარიშხალი უკვე ტოკავდა და ამოვარდნას აპირებდა მთელი თავისი საშინელებით.

მეფეს თავისი სამღრთო საფარიცა ჰქონდა. მართალია, პარიზი სატახტო ქალაქი იყო, მაგრამ მეფე მეტ წილად ვერსალის სასახლეში სცხოვრობდა. ვისაც უნახავს ეს სასახლე, უეჭველია, მისთვის ცხადზე-უცხადესი იქნება თუ ლიუდოვიკო XIV რაოდენად ჰქონდა უფლება ეთქვა „სახელმწიფო მე ვარ!“ საილუსტრაციოდ ავიღოთ გეტტნერის მიერ ამ სასახლის მშვენიერი აღწერილობა: მეფემ ეს ციხე-დარბაზი უწყალო ქვიშნარზე ააშენა, თითქოს ჰსურს ყველას დაუმტკიცოს, რომ თვით ბუნების უკმეხობა მისი მეფობის წინაშე უნდა ქედმოხრილი იყოსო... თვითეული კენჭიც კი იმას ჰლაღადებს, რომ აქ მეფე სცხოვრობს. თვითონ სასახლეში, დიდებული დარბაზები მორთულია თვალწარმტაც სურათებით, რომელნიც მოგვითხრობენ თვით მეფის სახელოვანს ლაშქრობას. მთელი ოლიმპი მის წინაშე ემხობა. მითოლოგია უძლიერესი მეფის მჭევრმეტყველ ალლეგორიად გარდაიქცა. არსად საფრანგეთი არ ჰპოვებს თავის სახიერებას, როგორც ამ ადგილში, იმიტომ რომ საფრანგეთი თვითონ მეფეა, მისი საფარველი კი ეს ვერსალია!“ გეტტნერის აღწერილობა კიდევ მრავალს შესანიშნავს ფურცლებს შეიცავს, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასახასიათებლად, თუ რა სამკვიდრო საფარველი გადმოეცა მეფე ლიუდოვიკო XVI-ეს. ვერსალის სასახლე სავსე იყო 17—18 ათასი ბრწყინვალე მოსამსახურით და კარისკაცით. აქედან 16 ათასი მარტო მეფის ხელისმსახურად ითვლებოდა, დანარჩენნი მის საგვარეულოს ჰმსახურებდნენ, ამათ გარედ კიდევ ათასობით ელოდნენ მეფის განკარგულებას და წყალობას.

ამ უდანდარ მსახურთა შესანახავად მეფეს აუარებელი ხარჯები ჰქონდა. უბედურობა ის [illegible] გასავალი შემოსავალს [illegible]ბობდა, კეთილგონიერებამ ვერ აუხსნა თვალი მეფეს, რომ ხარჯები შემოსავლის კვალობაზე გაეწერა და არა გარდასახადები გასავლის რაოდენობით განესაზღვრა. აი, ამიტომ იყო, რომ წლიურად სახელმწიფო დეფიციტი იზრდებოდა და იზრდებოდა, მაშინ, როდესაც შემოსავალი კლებულობდა, იშრიტებოდა. ნეკკერის გამოანგარიშებით ეს ხარჯები დაახლოვებით ასეთი იყო: ყოველწლიური გასავალი უდრიდა 530,000,000 გირვანქას, შემოსავალი კი 475,000,000, დეფიციტი — 55,000.000. თუ ნეკკერის ლმობიერებას გავიხსენებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ დეფიციტი ნამდვილად 90,000,000 გირვანქას აღემატებოდა. სურათი თანამედროვე ენაზე რომ გადმოვიტანოთ და გირვანქები ფრანკებზე ვიანგარიშოთ, ეს ხარჯები ასეთი გამოვა: გასავალი 1,512,000,000 ფრ., შემოსავალი 1,350,000,000 ფრ., გათვალისწინებული დეფიციტი 156,000,000 ფრ.. საეჭვო, თუ რაში რა დაიხარჯა, არ იყო აღნიშნული, უდრიდა 256,000,000 ფრ. თუ ამას დავუმატებთ მარია ანტუანეტას გიჟურს ალტყინებას მის ტანისამოსზე და საყვარლებზე გადაგებულს ფულს, საერთო დეფიციტი 3,260,000,000 ფრანკი უნდა ვიანგარიშოთ! ოღონდაც რომ სამი მილიარდი, ორას სამოცი მილიონი ეს ისეთი ზარია ერისათვის, რომ ლუი მეთექსმეტეს დროისთვის, როგორც ლუი XV დროს ჯერაც მნიშვნელობა არ დაჰკარგვოდა პრეენსონის სასტიკს დახასიათებას, რომ „მეფე და მისი სასახლე მთელი ერის საფლავი იყო!“**)

ახლა გადვიხედოთ რა ყოფაშია პროვინციის ორგანიზაცია. აქ მეტი უბედურობაა, ვიდრე ქალაქში. დღევანდელი საფრანგეთი დეპარტამენტებათაა დაყოფილი. 1789 წლამდე კი იგი იყოფებოდა გუბერნიებად და შტატებად, ანუ საინტენდანტოებად. გუბერნიები საკუთარს სახელს ატარებდნენ და ფეოდალურ ცხოვრებით ასე თუ ისე მიაჩნჩალებდნენ მძიმე ცხოვრების პირობებს. შტატები კი აუწერელს წამებას განიცდიდენ. მათს სათავეში იდგნენ ინტენდანტები და მათი სახელითვე ინათლებოდა თვითეული მათგანი. ვინ იყო მერე ინტენდანტი? ნამდვილი მეფუკა, ანუ ჯონ-ლოუს სიტყვით რომ ვსთქვათ „ხალხის უბედურება და ღვთის ცეცხლი“. საშინელება მით უფრო მკაცრდებოდა, რომ ყველა გუბერნიებში და შტატებში არ ეპყრობოდნენ ერთგვარად. ყველას თავისი კანონი ჰქონდა. 1789 წლ. მაგა-

---

*) იხ. „საქართველო“ № 100.

**) არანაკლები ბნელი „საფლავი იყო მთელი ერის“ რუსეთის ლუი XVI მეფე ნიკოლოზ II სასახლე. ჟურნალ-გაზეთებში არა ერთხელ იყო აღნიშნული „რომანოვთა საგვარეულოს“ თუ სად რა ქონება ჰქონდა გაფანტული. მარტო ამერიკის ბანკებში დაბანდებული წმინდა ოქრო, რომ არ ვიანგარიშოთ, ამ სახელოვანი გვარის ქონება 1897 წლის ანგარიშით ასეთი იყო: ნიკოლოზის მამული უდრიდა 42 მილიონს, 500 ათას დესეტინას. ეს მამულები „საკაბინეთო“ და „საუფლისწულო“ მამულების სახელით არის ცნობილ. საუკეთესო ტყეები და მადნეულობით სავსე მთები სულ მან დაისაკუთრა. აუარებელი ვენახები, ქარხნები და ფაბრიკები, რამდენიმე ათასი წისქვილი და სხვა. მარტო ღვინისა წლიურად 20 მილიონზე მეტი შესდიოდა. მეფე არ სთაკილობდა თვით ყმების გასყიდვით გამდიდრებას. ალექსანდრე II-მ ხაზინას წაჰგლიჯა 48,659,000 მანეთი მხოლოდ იმიტომ, რომ თავის მანიფესტით საკუთარი ყმებიც „გაანთავისუფლა“. მეფის სასახლის შენახვა ხაზინას 17 მილიონზე მეტად უჯდა. თვითეული მემკვიდრე კანონით წლიურად დაბადებიდან იღებდა 33 ათასს, რაც პროგრესიულად იზრდებოდა წლითი-წლობამდე. თქმა არ უნდა, აქ ჩამოთვლილი სიმდიდრე სავსებით არ გვიჩვენებს სინამდვილის შემზარავს სურათს. ცნობები ოფიციალ წყაროებიდანაა ამოღებული, როგორც ვსთქვით, ჯერ კიდევ 1897 წლის ანგარიშიდან, რაც დღემდე სულ ცოტა ათჯერ უნდა გადიდებულიყო. ვინ არ იცის, მუკდენი და ცუსიმა რა ოქროს შადრევანები იყო ყველა არამკითხე მოხელისათვის და მით უმეტეს უზენაეს ყაჩაღისათვის, რომლის კონტროლი თვით ღმერთიც არ იყო! ისტორიას ჯერ კიდევ ზარი არ დაუკრია ამ „საფლავისთვის“, თორემ მეტს საშინელებას დავინახავთ...

დ. ქ.

ლითად, წონა და ზომა სულ სხვა და სხვა იყო. ამით სარგებლობდნენ ბატონ-პატრონნი და მთავარნი გუბერნიებისა და გარდასახადებში ისე იქცეოდნენ, როგორცა ჰსურდათ. პირდაპირით თუ არა პირდაპირი გადასახადებით საწყალი გლეხობა გააძვალტყავეს არა მარტო ამ მთავრებმა და უკანტროლო ხელისუფლებმა, არამედ იმ წვრილფეხა მოხელეებმა, რომელთაც ხალხი „კანონის ხალხად“ იცნობდა, ესენი იყვნენ მოსამართლეები, მწერლები, მღვდლები და მრავალი სხვა, რომელნიც მშიერ მგლის ხროვასავით შეჰსევოდნენ უპატრონო პროვინციას. რამდენად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა ხალხი, სჩანს ერთი კეთილშობილის ნათქვამიდან, რომელმაც გენერალურ შტატების კრებაზე განუცხადა: „აუწერელია წამება პროვინციისა, უსამართლობის კვილი ცას შესწვდა, საზიზღარს ძარცვა-გლეჯას საზღვარი არ უჩანს, ხალხის რისხვა თანდათანობით იკაფავს შეგნების გზას და ვაი მაშინ, თუ გაჰშალა თვის მძლავრი ფრთები!“

ხალხის გაბრაზების და მისი დამუქრების შიში რომ ხუმრობა არ იყო, თავისთავად ცხადი იყო, ვინაიდან დიდ უმრავლესობას სწორედ ეს ხალხი შეადგენდა. რევოლიუციამდე მთელს საფრანგეთში $22^{1}/_{2}$ მილიონი მცხოვრები იყო. აქედან 270 ათასი ეკუთვნოდა უმაღლეს წოდებას, დანარჩენნი კი—უფლება აყრილს მესამე წოდებას. აი, ეს ჯგუფი ჰპატრონობდა 24 მილიონ ხალხს.

თავისი მხრით არც საზოგადოებრივი ორგანიზაცია წარმოადგენდა რაიმე სახარბიელოს. 1789 წლ. იგი თითქმის იგივე იყო, რაც ხუთასი წლის წინ ფილიპე მშვენიერის დროს. პრინციპი ამ ორგანიზაციისა, ,რა თქმა უნდა უთანასწორობა იყო. იგი შესდგებოდა სამი უშველებელი საფეხურისგან. პირველ კლასს წარმოადგენდა სამღვდელოება. მას უმაღლესი საფეხური ცისთვის მიებჯინებინა, სადაც უზენაესი ამ ქვეყნის გამგებელი მეფე ბრძანდებოდა, მეორე საფეხური ეჭირათ კეთილ-შობილთ, ან თავად-აზნაურობას, მესამე კი იმ უფლება აყრილს ხალხს, რომელიც ისტორიაში მესამე წოდებად მოინათლა (Eiers Stat). სამღვდელოება ერის კაცთაგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა. იგინი ისე სცხოვრებდნენ და ისეთსავე ორგიას ეწეოდნენ, როგორც დიდი მთავრები, ფეოდალები. მათ ხელში იყო საუკეთესო სახნავ-სათესი მამულები, რომელთაგან წლიური შემოსავალი უდრიდა 390,000,000 ფრანკს. სინიორები და ეს სამღვდელოება საოცარის ურცხვობით ეწეოდნენ ვაკხანალიას, ისეთს გარყვნილს ცხოვრებას, რომ თვით ისტორიაც კი სირცხვილით პირზე ხელს იფარავს! მათი ურცხვობა უკიდურესობამდის მივიდა 1788 წელს, როდესაც საფრანგეთში არაჩვეულებრივმა წყალდიდობამ წაჰლეკა ნახნავ-ნათესი და სიკვდილის პირად მიყვანილს ხალხს საზარელმა შიმშილმა ცელი მოუქნია. ხალხი ადრტვინდა. ხალხი სამართალს მოითხოვდა. სამართალს კი არავინ იღებდა. მეფე თავის ამალით ნადირობაში იყო გართული და არ კითხულობდა, თუ რა აწუხებდა ხალხს. მთავარი მინისტრი არქიელი დებრიანი, რომელიც ისტორიაში თავისი კომიზმით სამართლიანად აქტიორად მოინათლა, საკმაოდ შეფიქრიანდა და მოისურვა ხალხის გულის მოგება, თავისთან დაახლოვება. ხალხის დასამშვიდებლად მან უფლება მისცა ყველას წერილობით თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი აზრი მდგომარეობის შესახებ. ამით ისარგებლეს უკმაყოფილო ელემენტებმა და ხელ და ხელ 2700 ბროშიურა მოედო მთელს საფრანგეთს. ამ მრავალფეროვან ბროშიურებში ყველაზე სახელოვანი გახდა აბბატ სიესის წიგნაკი, „რა არის მესამე წოდება?“ („Qu'estccgue le tienrse'tat?“) რეზიუმე ამ პატარა წიგნისა გამოიხატება მისი პატარა დიალოგიდან: „რა არის მესამე წოდება?

— ყოველისფერი.

— რა იყო იგი დღემდე პოლიტიკურად?

— არაფერი.

— რას თხოულობს?

— რამედ გახდომას!“

სიესის ეს ბროშიურა ნამდვილი წერაქვი იყო, შეუწყალებელი პამფლეტი სამღვდელოებისა და აზნაურობის წინააღმდეგ და აღფრთოვანებელი ჰანგრიკა მესამე წოდების სასარგებლოდ.

სიესის ბროშიურას გვერდით უნდა ამოვუყენოთ მეორე პამფლეტი გრაფ დსანტრემისა, რომელმაც რუსოს პრინციპები დაუდვა საფუძვლად თავის წიგნაკს და, სხვათა შორის ამბობდა: არც ერთი საზარელი ანარქია ისე არაა საშიში ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც მკვდრული სიმშვიდე შეუზღუდველი მმართველისა... მემკვიდრეობითი წოდებრივი უპირატესობა უსასტიკესი მათრახია, რითაც განრისხებულ ცას შეუძლიან მთელი ერის დასჯა და გაცამტვერება!“

ერთი სიტყვით, ხალხის უკმაყოფილებას და ჩივილს საზღვარი არა ჰქონდა. ხალხს ხელმძღვანელნი თანდათანობით ემატებოდნენ. საქმე იქნობამდე მივიდა, რომ საჭიროდ სცნეს გენერალურ შტატების მოწვევა. ეს უკვე თამამი ნაბიჯის გადადგმა იყო გამარჯვებისკენ. ხალხის ბედმა მოქუფრულს ცაზე გაიღიმა და თან რისხვის ქარიშხლის ფრთები აამოძრავა დასაქროლად. მეფე და ხალხი პირისპირ უნდა წარმდგარიყვნენ ანგარიშის გასასწორებლად.

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება.)

დამფუძნებელ კრების მოლოდინში.

ქართველობა, ერის თვით-გამორკვევის დროს, მაშინ, როცა აურაცხელი შრომა ძევს მას თავის სახის გამოსააშკარავებლათ, რათა ერთის აზრით აღტყინებული წარსდგეს ქართველი ერი მომავალ დამფუძნებელ კრების წინაშე თავის გარკვეულ ეროვნულ მოთხოვნილებებით, დიდი ნაწილი ქართველობისა ამ საკითხის უდროობასა და სიჩქარეზე ლაპარაკობს და თვით ხალხში ეროვნულ სულის შემტანთ და მის მოამაგეთ სულ-მოკლეების სახელით ჰნათლავს. უდროობას ამბობენ მაშინ, როდესაც დრო საშურია, ანგარიშს ითხოვს და არ იცდის.

სულ ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ მოწვეული იქნება დამფუძნებელი კრება. ყველა ეროვნება თავის ფართო ნაციონალურ დეკლარაციით წარსდგება რუსეთის ეროვნულ სურვილების მხილავთა საერთო კრების წინაშე.

ამ მხრივ თითქმის ყველა ერებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ, საკმაოდ გამოააშკარავეს თავიანთი სახე და შეამზადეს ნიადაგი ფართე მასაში. ყველანი ირაზმებიან და გარკვეულ გზას ადგებიან. რუსეთის ყველა იმ ერებმა, სადაც ეროვნულ საკითხს აუცილებელი და უპირველესი ადგილი დაუსაკუთრებია, თვით ფართე მასასაც საკმაოდ შეთვისებული აქვს თავისი ქვეყნის აუცილებელი საჭიროებანი გლეხთა კრებები და მათი რეზოლიუციები იმას ჰმოწმობენ, რომ არა თუ ინტელიგენციის ვიწრო ნაწილს, არამედ ფართო მასსასაც, ხალხსაც, საკმაოდ აქვს გარკვეული თავისი ერის პროგრამი და სავსებით შეგნებული აქვს თავისი ეროვნული საჭიროებანი.

ყველა ეს იმის მომასწავებელია, რომ იქ პარტიულ ქიშპობას და შუღლს ადგილი არა აქვს, არც ეროვნულ საკითხის უდროობაზე ლაპარაკობენ და ყველა შეერთებულის ძალით საკმაო შრომასა და მუშაობას ეწევა. და, მართლაც, შეიძლება განა ითქვას, რომ ეროვნულ საკითხების წამოყენებისათვის საკმაო დრო დაგვრჩენია?!

ჩვენში არა თუ მუშათა და გლეხთა ფართო მასსაში, არამედ ინტელიგენციის უდიდეს ნაწილშიაც კი, ეს საკითხი მივიწყებული და მიფუჩეჩებულია. თითქოს მათთვის საკუთარი ეროვნული ტკივილები არც კი არსებობდეს, ეს უდიდესი საკითხი განზეა მიგდებული იმის მაგიერად, რომ სხვებთან ერთად, გაერთიანებულის ძალღონით შეიმუშავონ საერთო პლატფორმა და სამუშაოდ შეთანხმებით გავიდნენ, თვით სდუმან და სხვებს კი, ვისთვისაც ეს საკითხი დღის საკითხათ გადაქცეულა, პირში ბურთს სჩრიან. საკითხი კი პირველმნიშვნელოვანია, მის ნიადაგზე გაერთიანება დღესვე არის საჭირო და ამის გადადება არამც და არამც არ შეიძლება. არ შეიძლება მით უმეტეს, ქართველ გლეხკაცობაში დაბადებულ, რომ ეროვნულ საკითხების გარკვევას გაღრმავება და გაფართოება ესაჭიროება.

ბევრი ეროვნულ საკითხის წამოყენებას თვით დამფუძნებელ კრების დროს აპირებს. კი, მაგრამ დამფუძნებელ კრების დროს, ისე, როგორც სხვა ერები, ხომ ჩვენც უკვე მზად უნდა ვიყვნეთ? რა დროისთვის შეიძლება ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის შენახვა?! და თუნდაც ასე იყოს, რას ეუბნებიან იმ ფართო მასას, რომელმაც უნდა აირჩიოს თავისი წარმომადგენლები მისი აზრის გამოსახატათ? ერთსა და ორ დღეში უნდათ გაუთვალისწინონ ჩვენ გლეხობას ეროვნული საკითხის საჭიროებანი, თუ არც კი აპირებენ სრულებით ამ საკითხით თავი აიტკივონ და გლეხებს სურთ თავს თავისი შეხედულებანი და ზრახვანი მოახვიონ?

ვერ წარმომიდგენია, რომ ამ გვარი დანაშაულის ზიდვას შესძლებს და ან გაბედავს ვინმე. დაე ქართველი ერის უდიდესმა დემოკრატიულმა ნაწილმა—გლეხკაცობამ გადასწყვიტოს თავისი მომავალი ცხოვრების პირობები და წესები. ამიტომ, ეხლავე სისწორითა და უშიშრად გადაუშალოს ყველამ თავისი პროგრამა და შეხედულება ეროვნულ საკითხზე, დაანახონ მისი ავკარგიანობა და მიუდგომელ, სიმართლით გააშუქონ მისი ნაკლიც და ღირსებაც. თვით გლეხკაცობამ გაარკვიოს, რომელ სახელმწიფოებრივ წესწყობილებაში უკეთ შეინარჩუნებს თავის მიწა-წყალს, როდის გახდება თავის ყოფა-ცხოვრების გამგებელი და როდის დაადგება აღორძინებისა და აყვავების გზას მისი კულტურა, ენა, ნიჭი და თვით მოპოებული თავისუფლებაც. დაანახვონ, თუ საქართველოს რომელ მართვა-გამგეობაში აღარ განიცდის მისი თავისუფლება უცხო ძალის გავლენას და დღეს ჩამქრალი მისი კერის ცეცხლი კვლავ როდის აინთება და აბიბინდება. დღევანდელმა მომენტმა ქართველ გლეხს ათასგვარ ბედნიერებასთან ერთად თავდაპირველად სინიდისის თავისუფლება მოუტანა და მისი ეროვნული ზრახვანიც ამ სინიდისის ფარგლებში უნდა მოექცეს. ასეა ყოველგან და ასევე უნდა იქმნეს აქაც. ქართველი გლეხი მხოლოდ რუსეთის უხეშ ჟანდარმებს და ჯალათებს მოუნათლავთ ბუნების უკანონო შვილად, თვით საქართველოს ბუნებას კი ის საკმაო ჭკუითა და ნიჭით დაუჯილდოვებია, რომ შესძლოს სალ აზრს დაადგეს და გაარკვიოს თავისი საკუთარი ცხოვრების მოწყობა და მისი პირობების ავ-კარგიანობის გარჩევა. საჭიროა მხოლოდ მისთვის ამ საკითხების გაშუქება და არა მისი სხვის ბრმა იარაღად გადაქცევა. საჭიროა დღესვე მიეცეს მის აზრს თავისუფალი გზა, რომ ამ რიგად ერის ფართო მასამ დასდოს მსჯავრი საქართველოს მოწყობის საკითხს. ამას მოითხოვს, როგორც ბუნების, ისე მოპოებული თავისუფლების კანონიც.

ეხლავე მეტის ინტენსივობით უნდა გაცხოველდეს ამ ნიადაგზე მუშაობა, რომ ქართველი ერის ფართე მასა თავის სამშობლოს ბედის მოწყობის სამსჯავროს—დამფუძნებელ კრების წინაშე ერთი გარკვეული სახით წარსდგეს!

ვ. მგალობლიშვილი.

კორესპონდენცია

სკოლისა და სამკითხველოს საქმე სოფლად

ს. ზედა-ცლემი (ზემო იმერეთი). ეს სოფელი მდებარეობს დაბა ზესტაფონიდან 8 ვერსის მანძილზე. სოფელი გაშენებულია მაღალსა და გორიან ადგილზე. რადგან სოფელი მაღლობ ადგილზე არის გაშენებული, ამიტომ ზაფხული გრილი იცის და მშვენიერი სააგარაკო ადგილია. მცხოვრებთა რიცხვი აქ 250 კომლამდე ადის, $^{2}/_{3}$ თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება შეადგენს, დანარჩენი გლეხებია. აქაური მცხოვრებნი უფრო მიწის მუშაობას ეტანებიან. ამ ბოლო დროს მევენახეობამაც იჩინა თავი, განსაკუთრებით ამერიკული ვაზის მოშენებამ და ვენახებიც გამობრუნდა.

აგრეთვე დაფნის გაშენებასაც მიჰყვეს ხელი და დღეს ამ სოფელში დაფნის პლანტაციებს შეხვდება ადამიანი. ამ სოფელს მრავალი ინტელიგენტი შვილი ჰყავს. მაგრამ უმეტესი ნაწილი საქართველოს სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში მსახურობს და თავისი სამშობლო სოფელი სრულებით დავიწყებული აქვსთ. ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი ამ სოფელში ნაკლებად არის. ასეთ დიდ სოფელში მხოლოდ ერთი სამრევლო სკოლაა, მას უვარგისი შენობა აქვს, ეს კი დიდად აფერხებს საქმეს. სკოლა პატარა შენობაშია მოთავსებული, სახურავი არ უვარგა და ავდრის დროს წვიმა საკლასო ოთახებში ჩამოდის. თითო ოთახში მხოლოდ 15 მოწაფის მოთავსება შეიძლება, ნამდვილად კი გაცილებით მეტია; ეს სწავლის საქმეს აფერხებს, მეტადრე წერაა შეუძლებელი. ბევრჯელ აღძრა შენობის შესახებ საკითხი სკოლის გამგემ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. არც სოფელი და არც ძველი მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა. რას იზამს ახალი მთავრობა, ჯერ არ ვიცით.

ერთხელ დიდის დავი-დარაბით დაარსდა სამკითხველო; კეთილმა კაცმა მას ბინა მისცა და იგი დღემდე ნათხოვარ სახლშია მოთავსებული. დღემდე არავის მოუფიქრებია, რომ სამკითხველოს საკუთარი შენობა გაუმართონ. ბ. იასონ მაჭავარიანის, მიუხედავათ ყოველივე დაბრკოლებისა, ფულის შეგროვება და სამკითხველოსთვის ცალკე შენობის შეძენა განუზრახავს. მაგრამ შენობის საქმე ჯერ არ გადაწყვეტილა და უკვე დავა ჩამოვარდა იმის შესახებ, თუ სად იქნეს სამკითხველო-შუა სოფელში, თუ სოფლის ერთ-ერთ განაპირა უბანში.

ა. მ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43 საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	8.20 დღ.
„	„	№ 17,	8.27 დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.15 საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-მიხაილ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 5,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40 საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10 დილ.

კახეთის რკინის გზა

საფოსტო მატარებლების მიმოსვლა

I, II, III კლასის ვაგონებით.

(დრო ადგილობრივია)

თბილისიდან ყოველ დღე მიდის დილის 8 საათ.

გურჯაანის სადგურზე მოდის ნაშუადღევის 2 საათზე და 20 წ.

გურჯაანის სადგურიდან მიდის თელავისაკენ ნაშუად. 2 საათ. და 40 წ.

თელავში მოდის საღამოს 4 საათზე.

გურჯაანიდან მიდის წნორის-წყლის სადგურისკენ 3 საათ.

წნორის-წყლის სადგურზე მოდის საღამოს 4 საათ. და 10 წ.

თელავის სადგურიდან მოდის ყოველ დღე დილის 10 საათზე 15 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათ. და 35 წუთ.

წნორის-წყლის სადგურიდან მოდის გურჯაანისაკენ დილის 10 საათზე და 32 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათზე და 30 წ.

გურჯაანის სადგურიდან მოდის თბილისისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე.

თბილისის სადგურზე მოდის საღამოს 5 საათზე და 26 წ.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი ქალისა

ე. ივ. გალაჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

გოლოვინის პრ. და ხანბუდაღოვის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ამაშუკელისა

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საშინაო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზე- [illegible] 4. № 4. (ო.—202—)

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმკა

გ. მ. მუხაძე

იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფთ

საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღის გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18

ტელეფონი № 11—82.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

ქალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოზანგზოვისა).

[illegible] [illegible] ავადმყოფებს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—8 საათამდე.

[illegible] „914“ და „806“

შეფხაკუნება

„ახალი საკრებულო“

მიხაილოვის პროსპექტი № 129.

კვირას, 14 მაისს,

სიმებიანი ორკესტრი

სინემატოგრაფი

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სტუმრები საზოგადო წესით. 1—687—1

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე.

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—27)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია



ქათრთულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ❧ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული ხრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. [illegible]“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მე-შიპზნე“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის ზამთრის მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება ასლან კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.